საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 30 მაისი. 2018 წ. №114 (8515), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

SOS!!! SOS!!! SOS!!!

რა კავშირი აქვს მილიონი გერმანელის გაფიცვას თბილისის საპროტესტო მიტინგთან?!

ჭკვიანი სწავლობს სხვის შეცდომებზე, ბრიყვი – საკუთარზე.

5

STOP RUSSIA!

სირიამ ოკუპირებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობა“ აღიარა

სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებული აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობის აღიარების“ საკითხზე სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

„სირიის წინააღმდეგ ტერორისტული აგრესიის დროს გამოჩენილი მხარდაჭერისთვის მადლიერების ნიშნად, სირიის არაბულმა რესპუბლიკამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება გადაწყვიტა. დიპლომატიური ურთიერთობები საელჩოების გახსნის დონეზე დამყარდება“, – ნათქვამია სირიის საგარეო უწყების განცხადებაში.

საქართველო სირიასთან დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტს



სირიის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. მინისტრის მოადგილის დავით დონდუას განცხადებით, მას შემდეგ რაც სირიამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა, დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების პრინციპი, შესაბამისად საქართველო იწყებს სირიასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის პროცედურებს.

„2018 წლის 29 მაისს სირიის რეჟიმმა რუსეთის ფედერაციის მხრიდან მანიპულირების შედეგად მიიღო კიდევ ერთი უკანონო გადაწყვეტილება და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრონციპების უხეში დარღვევით აღიარა საქართველოს განუყოფელი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა. აღნიშნული ქმედებით, ასადის რეჟიმმა მხარი დაუჭირა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის უკანონო ოკუპაციისა და წლების განმავლობაში მიმდინარე ეთნიკურ წმენდას. ამ გზით სირიის რეჟიმმა უგულებელყო სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველომ დაიწყო პროცედურები სირიის არაბთა რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მიზნით“, – განაცხადა დონდუამ.

რით არის გამოწვეული ტრამპის აგრესია ირანის მიმართ?!.

8

თბილისში 10-დან 9 ადამიანი დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს

2

გრიგოლ ვენაძე - ინაშვილების გვარის ღირსეული წარმომადგენელი

7

რუბენ გრიგორიანი:

კაცობრიობას მხოლოდ მშვიდობისთვის უსისხლო ბრძოლა გადაარჩენს!

კავკასიის ახალგაზრდობამ უომრად ცხოვრების ურყევი მაგალითი უნდა უჩვენოს მთელი დედამიწის სიცოცხლისთვის დაბადებულ ახალგაზრდობას!

რადგან მესამე მსოფლიო ომი (ღმერეთმა ნუ ქნას!) გადააშენებს და დაღუპავს არა მარტო კავკასიას, არამედ მთელ ჩვენს ბებერ ცოდვილ-მადლიან პლანეტას, რომელსაც უპასუხისმგებლო პოლიტიკოსთაგან ატომური სიკვდილი ემუქრება, ეს უკეთილშობილესი მოძრაობა მთელ მსოფლიოს უნდა მოედოს!

სისხლის დამღვრელ, სიცოცხლის მტერ ომს – სისხლის დაუღვრელი სიკვდილის მტერი საყოველთაო ომი!

ისმინე მსოფლიოს ახალგაზრდობავ, მშვიდობისმოყვარე კავკასიელი ახალგაზრდობის ხმა! ეს დიადი მოძრაობა დღესვე უნდა დაიწყოს, ხვალ ძალიან გვიანი იქნება!!!

გვეყოს ჭკუა და გონება, ყველა სიკვდილის იარაღი სიცოცხლის ყვავილებად ვაქციოთ!

იხ. 3 გვ.

ირაკლი მენაღარიშვილი და თედო ჯაფარიძე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოვდნენ

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს დამოუკიდებლობის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ქართველი დიპლომატები ირაკლი მენაღარიშვილი და თედო ჯაფარიძე ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და ქართული დიპლომატიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირაკლი მენაღარიშვილი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თედო ჯაფარიძე.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ვაგრძელებთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ზეიმს და იმ ჩვენი სიამაყის, მიღწევებისა და გამარჯვების აღნიშვნას, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია.

მამუკა ბახტაძემ საბანკო-საფინანსო სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ პრეზენტაცია გამართა

საბანკო და საფინანსო სექტორში მკვიდრდება ახალი, სამართლიანი წესები, სადაც დაცულია მომხმარებელთა უფლებები. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ თბილისის მედიათეკაში გამართა პრეზენტაცია, რომელზეც დეტალურად ისაუბრა ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე საბანკო-საფინანსო სფეროში.

რეფორმა ითვალისწინებს ეკონომიკის დაკრედიტების ახალი ხარისხობრივი სტანდარტების დაწესებას და ემსახურება მთავრობის მთავარ მიზანს — ეს არის მდგრადი, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა.

ჭარბვალიანობის ეფექტური კონტროლის გარეშე, შეუძლებელია სიღარიბის დამარცხება. ხშირ შემთხვევაში, ჭარბვალიანობა ხდება სიღარიბის მთავარი წყარო და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

რეფორმის მიხედვით:

- **თანხის გადაუხდელობის გამო, დაყადაღდება მხოლოდ არსებული გირავნობის საგანი და ყადაღა არ გავრცელდება სხვა ქონებაზე;**
- **იზღუდება ლომბარდებისა და კერძო გამსესხებლების (ე.წ. მევახშეების)** სასარგებლოდ რეგისტრირებული ქონების — ავტომობილებისა და უძრავი ქონების დაგირავება;
- **სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც დღეს შეადგენს 100%-ს, მცირდება 50%-მდე;**
- **ვადაგადაცილების შემთხვევაში, წესდება მსესხებლისათვის დასაკისრებელი ჯარიმების**/სანქციების ლიმიტი, რომელიცდაანგარიშდება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხიდან და ვადაგადაცილების ხანგრძლივობის მიუხედავად, არ გადააჭარბებს დარჩენილი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას;
- **წესდება ლიმიტი სესხის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნებისმიერი ხარჯის (ჯარიმა, ნებისმიერი საკომისიო, ფინანსური ხარჯი, პირგასამტეხლო) ოდენობაზე და განისაზღვრება წლიური 98.55%-ის ოდენობით, ნაცვლად დღეს არსებული წლიური 150%-ისა. ზღვარის დაწესებით აღნიშნული ხარჯების ლიმიტი მცირდება 51.45%-ით.**
- **მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების გამცემ სუბიექტებს (ე.წ. ლომბარდებს) მოეთხოვებათ უზრუნველყონ გამჭვირვალობის მაღალი სარისხი და გონივრულ ვადაში დანერგონ კომპიუტერული პროგრამა, სადაც აღირიცხება ყველა დაგირავებული ნივთი.**
- **ვისაც სურს, დაკავებული იყოს სრულფასოვანი ფინანსური შუამავლობით, შეუძლია ნებაყოფლობით მოექცეს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ და განახორციელოს ზემოხსენებული საქმიანობა.**
- **აღნიშნული წესები გავრცელდება მთელ ფინანსურ სექტორზე — ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე, ლომბარდებზე, კერძო გამსესხებლებზე (ე.წ მევახშეებზე) და ნებისმიერ კერძო თუ იურიდიულ პირზე, რომელიც დაკავებულია ამ სფეროში ფინანსური საქმიანობით.**
- **შემოდის ვალდებულება, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, რადგან ადგილი აქვს ე.წ. შავ საკომისიოებს.**

აღნიშნული ინიციატივები სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების რეკომენდაციებთან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საერეიტინგო კომპანია „მუდისმა“ (Moody's) ცალსახად დადებითად შეაფასა ჭარბვალიანობის აღმოფხვრისკენ გადადგმული ნაბიჯები და აღნიშნა, რომ ეს ხელს შეუწყობს საბანკო და საფინანსო სექტორში საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებას.

სანქციები მკაცრდება

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვისა და ტარებისთვის სანქციები მკაცრდება. შესაბამისი ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუშინ წარუდგინა.

შს მინისტრის ნათია მეზვრიშვილის განცხადებით, ტარება არის მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც მკაცრად დაისჯება თავისუფლების აღკვეთით და ასევე, აქამდე არსებული რედაქციისგან განსხვავებით, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა და შენახვაც გახდება მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც საკმაოდ მკაცრად დაისჯება — თავისუფლების აღკვეთით. მისი თქმით, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა 3-დან 6 წლამდე, ხოლო ტარება 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

მაკრატელი შემთხვევის ადგილზე სასწრაფოს დარჩა

შემთხვევის ადგილზე მაკრატელი სასწრაფო დახმარების ექიმებს დარჩათ, — ეს განცხადება პროკურატურაში ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ჩატარებული ბრიფინგის დროს პროკურორმა გააკეთა:

„შემთხვევის ადგილზე ამოღებული იქნა სამედიცინო მაკრატელი, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ეს მაკრატელი ეკუთვნის შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას, რომელთაც დარჩათ ეს ნივთი შემთხვევის ადგილზე“, — განაცხადა პროკურორმა. მისი თქმით, ეს გარემოება ექიმების ჩვენებითაც დადასტურდა და ამ ჩვენებების ეჭვქვეშ დაყენების არანაირი საფუძველი არ არსებობს. მისივე თქმით, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით, შემთხვევის ადგილზე სხვა მაკრატლის, ან მსგავსი ნივთის არსებობა არ დასტურდება. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე რამდენიმე საათით ადრე მთავარმა პროკურატურამ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის მასალები გაასაჯაროვა.

თბილისში 10-დან 9 ადამიანი დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს

მსოფლიოში 10-დან 9 ადამიანი დაბინძურებულ ჰაერს სუნთქავს. ზუსტად იგივე მდგომარეობაა საქართველოს დედაქალაქში. გამოკითხული თბილისელების 89% მიიჩნევს, რომ ამ მხრივ უმძიმესი ვითარებაა. გაცილებით უკეთესი ვითარებაა სოფლებში. მდგომარეობა თანდათან უარესდება ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში.

კვლევითი ცენტრი „ეისითის“ მონაცემებით, 2017 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 44% მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში ჰაერი დაბინძურებულია; 37% მიიჩნევს, რომ ნიადაგია დაბინძურებული, ხოლო გამოკითხულთა 33%-ს ბუნებრივი წყლის რეზერვუარები ჰგონია დაბინძურებული.

„საინტერესოა, რომ სოფელში რეალობა რადიკალურად განსხვავებულია ქალაქისგან. კერძოდ, თუ თბილისში რესპონდენტთა 89%, სხვა ქალაქებში კი — 48% აცხადებს, რომ მათ დასახლებაში ჰაერი დაბინძურებულია, სოფელში რესპონდენტთა მხოლოდ 12% ამბობს იმავეს. ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარებთან დაკავშირებით ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავება ფაქტობრივად არ არსებობს. რეგიონების მიხედვით, ყველაზე ნაკლებად ეს პრობლემა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მოსახლეობას აწუხებს.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაბინძურებას ქალები უფრო მეტად აქცევენ ყურადღებას, ვიდრე მამაკაცები როგორც ჰაერის, ასევე ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების შეფასებისას“, — აღნიშნულია „ეისითის“ კვლევაში.

მსხვილ ქალაქებში და განსაკუთრებით დედაქალქში რომ ეკოლოგიური პრობლემები თავსაყრელადაა, ეს ხელისუფლებაშიც კარგად იციან. ამიტომ პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტი თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მოკვლევას იწყებს. კომიტეტის თავმჯდომარის კახა კუჭავას ინფორმაციით, უკვე შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც პარლამენტარები და ექსპერტები გაერთიანდნენ.

„ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით ზოგადად ბევრი ინფორმაცია ვრცელდება, ხანდახან ურთიერთგამომრიცხავიც. საჭიროა, ზუსტად ვიცოდეთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ და ამ ჯგუფის მუშაობის პროცესში მივიღებთ დაზუსტებულ ინფორმაციას, გვეყოლებიან მოწვეული ექსპერტები“, — აღნიშნა კუჭავამ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ კომიტეტი რეკომენდაციებს შეიმუშავებს, როგორც შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, ისე ინსტრუქციების მხრივ, რომლებიც იმ უწყებებს გაეგზავნება, ვისაც უშუალოდ ევალება პრობლემების აღმოფხვრა.

სპეციალისტები კი წლიდან წლამდე ვითარების გაუარესებაზე საუბრობენ. მათი ინფორმაციით, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების ზღვარი 10 მეტრამდე გაიზარდა.

„ადრე ვამბობდი, რომ თბილისში 3 მეტრის სიმაღლეზე იყო დაბინძურებული ჰაერი, ახლა ეს ზღვარი უკვე 10 მეტრამდე გაიზარდა. ადამიანი მაღალ სართულებზე უნდა ცხოვრობდეს, რომ შედარებით ნაკლებად დაბინძურებული ჰაერი ისუნთქოს.

რატომღაც არავინ საუბრობს გათბობის ქვაბების გამონაბოლქვზე და მხოლოდ ავტომობილის გამონაბოლქვი მიაჩნიათ პრობლემად, არადა, ქალაქს ესეც ემატება და მძიმე ვითარებას ქმნის.

გათბობის ეს სისტემა, ე.წ. კედლის საქვაბეები აიტაცა რამდენიმე დეველოპერმა. სამწუხარაა, რომ ამას არავინ აკონტროლებს და დღემდე ისე ხდება, რომ სამშენებლო-სარემონტო მასალები და აშენებული შენობა-ნაგებობები არ მოწმდება ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. ყველაფერზე უნდა არსებობდეს ნორმატიული აქტი, სადაც მკაცრად იქნება გაწერილი სტანდარტები“, — აცხადებს აკადემიკოსი **სიმონ ბარამიძე**.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ დაბინძურებული ჰაერის გამო, ყოველ წელს დედამიწაზე მცხოვრები შვიდი მილიონი ადამიანი იღუპება. მედიკოსების განცხადებით, გულის სხვადასხვა დაავადებების, ინსულტისა და ფილტვების კიბოს გამომწვევი ძირითადი მიზეზი დაბინძურებული ჰაერია.

ბექა დანელია

არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“, რომელიც მაისის დასაწყისში თბილისში შეიქმნა, პირველ ნაბიჯებს დგამს ამ მეტად რთულ და უაღრესად საპასუხისმგებლო ასპარეზზე. ამის მიუხედავად, მისმა მოღვაწეობამ არა მარტო საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო, არამედ სახელმწიფოს პირველ პირთა კეთილგანწყობილი დამოკიდებულებაც გამოიწვია. ამ კეთილშობილურ წამოწყებას უკვე გამოეხმაურნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ასევე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე.

ამ ახალგაზრდული მოძრაობის იდეის შესახებ, რომლის მიზანია კავკასიაში კონფლიქტურ რეგიონებში მყარი მშვიდობის დამყარება, ვესაუბრეთ ცნობილ სომეხ ბიზნესმენს **რუბენ გრიგორიანს**, რომელიც წლების მანძილზე ცხოვრობდა და საქმიანობდა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში.

ვიცხოვროთ და ვაშენოთ მშვიდობიან კავკასიაში!

— ბატონო რუბენ, თქვენი აზრით, ახალშექმნილმა ორგანიზაციამ „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ რით დაიმსახურა საზოგადოებრიობისა და სახელმწიფოს პირველ პირთა, ასევე საქართველოს სულიერი მოძღვრის ესოდენ დიდი ყურადღება?

— თავად არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციის „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ შექმნის იდეას არა მარტო ღრმა შინაარსი, არამედ ადამიანურ სინდისზე დაფუძნებული მორალი უდევს საძირკვლად. ჩვენ, თანამედროვე საზოგადოების უფროს თაობას, უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი ახალგაზრდობის მომავლის წინაშე, რომელშიც იგი იცხოვრებს და იშრომებს. სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ საზოგადოებაში მოუწევს ცხოვრება ახლანდელ ახალგაზრდობას, ამდენად, მას სრული უფლება აქვს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკუთარი მომავლის მშენებლობაში და, ამ მხრივ, მეტად სიმბოლურია თავად ამ ორგანიზაციის დასახელება — **„ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“**. მშვიდობა ხომ თავისთავად სიცოცხლის სიხარული, ხალისი, შემოქმედება, განვითარება, ბედნიერება, ნათელი მომავლისკენ სწრაფვაა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ახალგაზრდობისთვის. ამიტომაც სწორედ კავკასიის ქვეყნების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდობა უნდა მიისწრაფოდეს იმისკენ, რომ ჩვენს ხალხებს შორის კეთილმეზობლური, ერთმანეთისადმი ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები იყოს. სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდებმა ქვეყნის გასაგონად უნდა განაცხადონ მეზობლებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების მისწრაფებაზე, საიმედოდ დაიცვან სიცოცხლეზე საკუთარი უფლება და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან, რომ დაპირისპირებას, თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს. **„სიცოცხლე და არა სიკვდილი!“, „სიცოცხლე და აღმშენებლობა!“, „მეგობრობა და არა მტრობა!“** — აი, რა უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის მოთხოვნა!

— ყველაფერი ეს, ცხადია, დიდებულია, მაგრამ ისტორია მოწმობს, რომ ყველა ასე როდი ფიქრობს — საქართველოშიც, სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც, ასევე რუსეთშიც, რომლის საკითხს, თქვენი ნებართვით, მოგვიანებით დავუბრუნდები, საზოგადოება აშკარად არაერთგვაროვანია, რაც ერთი და იგივე პროცესებისა და მოვლენებისადმი სხვადასხვა დამოკიდებულების მიზეზია. ჰოდა, როგორ უნდა მოვიქცეთ პოზიციების ამ მრავალსახეობის პირობებში?

— მართალი ბრძანდებით, გეთანხმებით, რომ ყველა ქვეყანაში არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც რატომღაც დიდი გაოცებით ხვდება კეთილშობილურ წამოწყებებს, რომლებიც უცხოა მათი მსოფლმხედველობისთვის. ამდენად, ასეთი ინიციატივების მიუღებლობის გამო, მათ უნარი არც შესწევთ და არც აქვთ სურვილი, რომ მხარი დაუჭირონ, რადგან თვლიან, რომ მათი განხორციელება შეუძლებელია. თუმცა, საბედნიეროდ, ისინი არ წარმოადგენენ საზოგადოების ხერხემალს, მათ მისწრაფებათა გამომხატველ ძალას — სამყარო მაინც სხვა, ანგარებას მოკლებული ადამიანების მხრებზე დგას, რომელთაც თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნიათ იმ კეთილშობილურ წამოწყებათა მიყოლა, რომელთაგან არანაირ მატერიალურ გამორჩენას არ ელიან, მაგრამ რის გარეშე თვით არსებობაც კი ვერ წარმოუდგენიათ. სწორედ ეს სრულიად თავგანწირული ადამიანები არიან მთელი კაცობრიობის წინსვლის მამოძრავებელი ძალები, სწორედ ისინი არიან კაცობრიობის უზენაეს ფასეულობათა მატარებლები. ასეთ ღირსეულთა რიცხვს უდავოდ მიეკუთვნება არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ შექმნის იდეის ერთ-ერთი ავტორი **აბრაკ ხაჩატრიანი**, რომლის მსოფლმხედველობასა და მისწრაფებას პირადად მე სავსებით ვიზიარებ და მხარს ვუჭერ.

— კონკრეტულად როგორ გესახებათ ახალი ორგანიზაციის მომავალი?

— ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოძრაობა „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“ სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით კი მინავლებული კონფლიქტების ზონებში, მყარი მშვიდობის მიღწევის მტკიცე საფუძველი გახდეს. თითოეულ ჩვენგანს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ბევრად უფრო ხელსაყრელია ურთიერთთანამშრომლობა და არა დაპირისპირება: საბოლოო ანგარიშით ხომ ნგრევა და უბედურება ომს ყველა მონაწილისთვის ერთიანად მოაქვს! მშვიდობა კი, უწინარესად, განვითარებისა და შემოქმედებისთვის სავსებით გახსნილი უზარმაზარი შესაძლებლობაა, რომელიც ჩვენი ხალხებისთვის სიკეთის მომტანია.

მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ამ უაღრესად კეთილშობილური ინიციატივის ავტორებს, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორგანიზაციის შექმნა, რომელიც სამხრეთ კავკასიის ხალხთა მშვიდობისთვის ბრძოლაში გაერთიანებისთვისაა მოწოდებული. განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო ამ კეთილშობილური წამოწყებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელიც უმალ გამოხატეს საქართველოს პირველმა პირებმა — პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, ასევე ერის სულიერმა მოძღვარმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. დაე, მშვიდობა ყოფილიყოს ქვეყანაზე და ღვთის კურთხევა იყოს ჩვენთან!

— ახალმა ორგანიზაციამ საქართველოში უდიდესი ინტერესი გამოიწვია, თავად მოძრაობა მეტად რეზონანსული გახდა. მაგრამ ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტიანობა მიღწეული შედეგებით ფასდება. თქვენი აზრით, რა დრო დასჭირდება გარკვეული დადებითი შედეგების მიღწევას?

— მოგეხსენებათ, ახალი ორგანიზაცია ჯერ კიდევ უაღრესად რთული სავალი გზის დასაწყისშია. ამჟამად, როგორც ვიცით, ყველაზე მთავარია სწორი მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმა, ეს მარტივი სულაც არ არის, ხოლო, როცა კი გადაიდგმება, მათ გააზრებულობასა და აქტუალობას არ შეიძლება როგორც ჩვენს ქვეყნებში, ასევე მეგობარ სახელმწიფოებში არ მოჰყვეს საზოგადოებრივი მოწონება, დადებითი გამოძახილი არ პოვოს ხალხში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი მეგობრებიც ერთსულოვნად არიან დაინტერესებულნი მშვიდობით, გრძელვადიანი სტაბილურობით გეოპოლიტიკურად ისეთ მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიცაა კავკასია. ხოლო რაც შეეხება დროს, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად აქტუალურ ნაბიჯებს გადავდგამთ და რამდენად სწორად შევაფასებთ და გავაანალიზებთ ამჟამად რეგიონის მახლობლად მიმდინარე ურთულეს პოლიტიკურ მოვლენებს — მხედველობაში მყავს სირია და უკრაინა. ამ მეზობლობის მნიშვნელობას კიდევ ის გარემოება განაპირობებს, რომ მოქმედება სასწრაფოდ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, მომენტის მოთხოვნების შესაბამისად დავიწყოთ. ამდენად, არა მგონია, რომ დადებითი შედეგების მიღწევას, ვთქვათ, მთიანი ყარაბაღის საკითხში, დიდი დრო დასჭირდეს.

— ახალგაზრდობის ძალა და შესაძლებლობები, ცხადია, ყველას კარგად გვესმის, მაგრამ ისიც ხომ ცხადზე უცხადესია, რომ რეგიონის ქვეყნების, ასევე რუსეთის მთავრობების ხელისუფალთა მხარდაჭერის გარეშე ამ ორგანიზაციას არ შეუძლია ისტორიული ინერციის ტენდენციის მქონე გარკვეული პროცესების გარდატეხა?

— სავსებით გეთანხმებით იმაში, რომ ჩვენს ქვეყნებში საზოგადოების უფროს თაობას აზროვნების გარკვეული ისტორიული ინერციულობა ახასიათებს. მაგრამ, ყოველთვის უნდა გვჯეროდეს უკეთესი მომავლისა, ყველა კეთილი ჩანაფიქრისა და წამოწყების სასიკეთო შედეგისა. ყველამ კარგად უნდა შეიგნოს გადადგმული ნაბიჯების გონივრულობა, ხოლო ის, რომ ახალგაზრდობას უზარმაზარი ძალა გააჩნია, ეს თვალნათლივ წარმოაჩინა სომხეთში განვითარებულმა მოვლენებმა, სადაც ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლა ვერაფრით განხორციელდებოდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამიტომაცაა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის დასაწყისშივე სწორ გზაზე დადგომას, მართებული ნაბიჯების გადადგმას. ერთობლივი სურვილის შემთხვევაში სასურველ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ.

— თუკი საკუთრივ ორგანიზაციის სახელწოდებით ვიმსჯელებთ — „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისათვის“, რაღა თქმა უნდა, სავსებით ცხადია, რომ სომხეთის, აზერბაიჯანისა და, ბუნებრივია, საქართველოს ახალგაზრდობაც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული ყველა საკამათო საკითხის გადაწყვეტაში — მთიან ყარაბაღშიც, აფხაზეთშიც, ცხინვალის რეგიონშიც. მაგრამ, ყველა ამ, ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ საკამათო შემთხვევებში, კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი ფაქტობრივი მხარე, გამომდინარე თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან, რუსეთიცაა. როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული როლის შესრულება შეუძლია რუსეთის ახალგაზრდობას მოძრაობაში „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“?

— ახალს ნამდვილად არაფერს ვიტყვი, თუკი აღვნიშნავ, რომ რუსეთის ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი თავის ერისა და საზოგადოების საუკეთესო თვისებების მატარებელია, რომელსაც, ისევე, როგორც სხვა ხალხებს, ოდითგანვე ახასიათებს მისწრაფება სიკეთისა და მშვიდობისკენ. ამდენად, არავითარი ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთის განათლებული ახალგაზრდობა, რუსეთი კი, მოგეხსენებათ, მრავალეროვანი ქვეყანაა, სადაც რუსების გარდა, ასევე ბელარუსები, უკრაინელები, ებრაელები, თათრები და უამრავი სხვა ერი ცხოვრობს, რომელთაც სომხების, აზერბაიჯანელების, ქართველების, აფხაზებისა და ოსების მსგავსად, არ უნდათ ომები და დაუმთავრებელი კონფლიქტები, რომლებიც ასევე მიისწრაფვიან აღმშენებლობისკენ და არა ნგრევისკენ. სწორედ მათზეა დამოკიდებული თავიანთი ქვეყნების მომავალი, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული მთელი კავკასიის ბედი.

ამდენად, მტკიცედ მჯერა, რომ რუსეთის ახალგაზრდობაც ასევე შეასრულებს ღირსშესანიშნავ, გამორჩეულად დადებით როლს ახალგაზრდულ მოძრაობაში, რომელსაც იმედიანი სახელი **„ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისთვის“** — ჰქვია.

ესაუბრა

ოთარ ტურაბელიძე

კასპისა და შავი ზღვის აუზების დაკავშირება

ნურსულთან ნაზარბაევის სტრატეგიული იდეა

გასული კვირის მანძილზე ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი კიდევ ერთხელ გახდა მსოფლიო მასმედიის მიერ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ციტირებადი ნიუსმეიკერი. ყაზახეთის ლიდერმა 14 მაისს სოჭში გამართულ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სამიტზე განაცხადა შავ და კასპიის ზღვებს შორის სახომალდე არხის მშენებლობის შესაძლებლობის თაობაზე. ეს იდეა არ არის ახალი და, როგორც თავად ნაზარბაევმა აღნიშნა, „იგი ჯერ კიდევ მეფის დროს იქნა გაჟღერებული“. მაშ, რაში გამოიხატება ყაზახეთის პრეზიდენტის სოლიდარულობა გასულ საუკუნეთა რუსეთის იმპერატორებთან? პასუხი არც ისე რთულია: სხვადასხვა სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პრეტენზიები არავის გაუუქმებია, მით უმეტეს, დღევანდელ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. მაგრამ იმისათვის, რათა დეტალურად გავერკვეთ საკითხში, საჭიროდ ჩანს, გავიხსენოთ მისი ისტორია.

ნურსულთან ნაზარბაევმა ჯერ კიდევ 11 წლის წინათ, 2007 წელს განაცხადა არხის მშენებლობის შესახებ, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (ეაეკ) ინტეგრაციის პროცესში. ფრიად ნიშანდობლივია, რომ სწორედ იმავე წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გამოაცხადა რუსეთის ტერიტორიაზე სანაოსნო გზების გაფართოების აუცილებლობა, რომლის ფარგლებშიც შესაძლო ვარიანტად ვოლგა-დონის არხის მოდერნიზაცია მოიაზრა. მაგრამ ნაზარბაევის მიერ შეთავაზებული სანაოსნო გზა 1000 კილომეტრით ნაკლებია, ვიდრე რუსული მხარის მიერ შემოთავაზებული, გარდა ამისა, ახალ არხ „ევრაზიას“ შეუძლია გაატაროს ბევრად მეტი ტვირთი, ვიდრე რუსულს — წელიწადში 45 მილიონ ტონამდე. სარგებელი არა მხოლოდ გზის ნაკლებ ხანგრძლივობაში მდგომარეობს, თუმცა ეს მომენტი ბიზნესში ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ეკონომიკურ საკითხებს ყოველთვის როდი ენიჭება უპირატესობა, როდესაც დიდი პოლიტიკის ინტერესები იკვეთება. მიუხედავად ამისა, 2018 წლის რუსეთი ბევრად განსხვავდება თერთმეტი წლის წინანდელი რუსეთისაგან და ამიტომაც, როგორც საერთაშორისო ექსპერტები თანხმდებიან, ნაზარბაევის ჯანსაღი იდეის კვლავ გახმიანების დროს დადგა.

ყაზახეთის პრეზიდენტი დიდი პრაგმატიკოსია და ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგალითების მოყვანა თავისუფლად შეიძლება: პირველად ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის იდეა ნურსულთან ნაზარბაევმა 1994 წელს გაახმიანა. 24 წლის თავზე ევრაზიის ეკონომიკურ კავშირთან სავაჭრო შეთანხმებას აფორმებს ირანი, პარტნიორობის შესახებ ხელს აწერს ყირგიზეთი, ხოლო ეკონომიკურ კავშირში შესვლის პრეტენდენტები არიან მოლდოვა, უზბეკეთი და ტაჯიკეთი. 2018 წლის იანვარ-თებერვალში ეაეკ-ის შიგნით ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა 8,6 მილიარდ დოლარამდე, რაც 14,4 პროცენტით მეტია, ვიდრე 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში იყო.

არხ „ევრაზიის“ მშენებლობასთან დაკავშირებული ნაზარბაევის ძველ-ახალი ინიციატივა შეიძლება, განხილულ იქნას, როგორც კიდევ ერთი ბიძგი ეაეკ-ის განვითარებისა. **პრეზიდენტი ნაზარბაევი მიიჩნევს, რომ ეაეკ-ის ინფრასტრუქტურა უნდა იქცეს აზიასა და ევროპას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის დამაკავშირებელ ხიდად.** ბუნებრივია, ყაზახეთისათვის ეს პროექტი აუცილებელია. ამ ქვეყნის ენერგოშემცველთა ექსპორტის პირობებში, მაშინ, როდესაც ყაზახური ნედლეულის თითქმის 70 პროცენტი რუსეთის გავლით გადის **ექსპორტზე, ახალი სატრანსპორტო გზა იძლევა საშუალებას, შემცირდეს გადატანაზე დახარჯული დრო და თანხები. შედარებისათვის: ამჟამად ყაზახეთს უწევს ნავთობის გადაქაჩვა შავი ზღვისკენ კასპიის მილსადენი კონსორციუმის ნავთობსადენით, მაგრამ ნავთობსადენამდე მას უწევს ნედლეულის მიტანა ტანკერებით.**

ყაზახეთის მასმედიამ უკვე გამოთვალა: თუკი ახალი არხი აშენდება, მას შეეძლება, მიიღოს 8-10-ათასტონიანი სატვირთო გემები. მაგრამ სარგებელი არა მხოლოდ ყაზახეთისთვის არის აშკარა, არამედ კასპიის ზღვაზე მდებარე ყველა სხვა სახელმწიფოებისთვის. არხის მშენებლობა იძლევა საშუალებას, განვითარდეს მომიჯნავე დარგები — სამშენებლო, გემთმშენებელი, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები. ამასთან, ახალი ევრაზიული სანაოსნო გზა საშუალებას მისცემს ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანას, რუსეთის გავლით დაუკავშირდნენ შავ ზღვას, რის სანაცვლოდაც რუსული მხარე გადასახადებს მიიღებს. ასე რომ, რუსეთისთვის შეთავაზებული პროექტი ატარებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ უფრო პოლიტიკურ ხასიათს. ამას აღიარებენ რუსი ექსპერტებიც. ახალი სანაოსნო გზა ეაეკ-ის და ოფიციალური მოსკოვის იმიჯის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

ცნობილი რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი წერს, რომ არხის მშენებლობის სტიმულია ეაეკ-ის გამოცოცხლებისაკენ სწრაფვა. არც აშშ-ს, არც ჩინეთს და არც ევროკავშირს არ სურთ, იხილონ დიდი, რეალურად ფუნქციონირებადი, მაშასადამე, კონკურენტუნარიანი ეკონომიკური კავშირი. თავიანთი სატრანზიტო დამოკიდებულების შემცირებას დიდი ხანია, ცდილობენ ეაეკ-ის მეზობელი სახელმწიფოები. ასე, ერთი თვის წინათ, ჩინეთის ლიდერმა სი ძიპინმა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა შაჰიდ ხაკან აბასიმ კუნძულ ხაინანზე მოილაპარაკეს ჩინურ-პაკისტანური კორიდორის შესახებ. ეს არის 46 მილიარდდოლარიანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც გულისხმობს ფართო სარკინიგზო და საავტომობილო გზების მშენებლობას. გამოდის, რომ თუკი ახლა ყაზახეთი არ დადებს უფრო მომგებიან ალტერნატივას, ჩინური ტვირთები წავლენ სხვა მიმართულებით — ეაეკ-ის ქვეყნების გვერდის ავლით, ეს კი მრავალმილიონიანი დანაკლისი იქნება მათთვის, დოლარის ეკვივალენტში.

ტყუილად როდი შესთავაზა სოჭში კოლეგებს ნურსულთან ნაზარბაევმა, დაფიქრდნენ საჩქაროსნო ავტომაგისტრალ „ევრაზიის“ მშენებლობაზე, რომელიც ევროპას აზიასთან დააკავშირებდა რუსეთისა და ყაზახეთის გავლით. **ოფიციალური ასტანას მიერ შემოთავაზებული სატრანსპორტო არტერია ახალ შესაძლებლობასა და ექსპორტის საშუალებას წარმოადგენს ჩინელი მწარმოებლებისათვის. შედარებისთვის: ამჟამად ჩინური ტვირთების ევროპაში ჩატანას 2 თვე სჭირდება, მაგრამ ახალი გზა ამ ვადას 10 დღემდე შეამცირებს. ექსპერტთა შეფასებით, ახალი არხი თავის ხარჯებს უკვე 10 წელიწადში ამოიღებს,** რაც ამ მასშტაბის მშენებლობისათვის სავსებით მისაღებია. როდესაც ანალიტიკოსები, ეკონომისტები, პოლიტოლოგები 11 წლის წინათ სწავლობდნენ ნაზარბაევის იდეას „ევრაზიის“ მშენებლობის შესახებ, ისინი ამბობდნენ, რომ **ახალ არხს შეუძლია, შეცვალოს კასპიისპირა ქვეყნების გეოპოლიტიკური მდგომარეობა და აქცევს მათ ქვეყნებად, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი აქვთ.** ასეთი პერსპექტივა სავსებით ამართლებს სამუშაოთა მოცულობასა და გასაღებ ხარჯებს, რაც კი უკავშირდება არხის მშენებლობას. პრობლემები შეიძლება, წარმოიშვას ეკოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ უეჭველია, რომ კასპიისპირა სახელმწიფოები სხვებზე მეტად არიან დაინტერესებული ეკოლოგიური ბალანსის დაცვითა და მიკროკლიმატის შენარჩუნებით.

რევაზ გიორხელიძე

საქართველოში მოსწავლეთა 5 პროცენტმა გამოსაშვები გამოცდები ვერ ჩააბარა

საქართველოში სასკოლო გამოსაშვები გამოცდები 49 ათასმა მოსწავლემ ჩააბარა. მათგან 2 410 მოსწავლემ (4.9%) ვერ შეძლო ტესტირების გავლა, — აცხადებს გამოცდების ეროვნული ცენტრი.

2018 წლის გამოცდებში მონაწილეობას იღებდნენ მე-12 კლასის მოსწავლეები და ასევე ის მოსწავლეებიც, რომელთაც გასულ წელს ვერ გადალახეს ბარიერი. **ქართული ენა და ლიტერატურა ჩააბარა მოსწავლეთა — 98-მა პროცენტმა, უცხო ენა — 94-%, ისტორია — 97% , ხოლო მათემატიკა — 93%-მა.** საქართველოს სკოლებში გამოცდების ნაწილის ჩაბარება შესაძლებელია მე-11 კლასში. **გამოცდები გეოგრაფიაში ჩატარდება 12 ივნისს, ბიოლოგიაში — 13 ივნისს, ფიზიკაში — 14 ივნისს, ხოლო ქიმიაში — 15 ივნისს.**

ცნობისთვის, საქართველოში მოსწავლეები აბარებენ ოთხ გამოცდას. მათ შორის სამი სავალდებულოა — ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარჩვევები, უცხო ენა. ხოლო მეოთხე არჩევითია: **ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ან სამოქალაქო განათლება.**

2018 წლიდან არჩევითი გამოცდის ჩაბარება მხოლოდ ქართულ ენაზეა შესაძლებელი.

საქართველოში პირველი პროტეინებისა და სხვა საკვები დანამატების საწარმო აშენდება

საქართველოში პირველი პროტეინებისა და სხვა საკვები დანამატების საწარმო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დახმარებით აშენდება. ბიზნესის მხარდასაჭერად შპს „კომპავა ჯორჯიას“ თბილისში, ორხევის დასახლებაში, სამრეწველო ზონაში მდებარე 4800.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა გადაეცა.

ახალ საწარმოში წელიწადში 40 ტონა სხვადასხვა საკვები დანამატების, მათ შორის პროტეინების, კრეატინების და ამინომჟავების წარმოება მოხდება. კომპანიაში აცხადებენ, რომ წარმოებული პროდუქციით იმპორტის ნაწილის ჩანაცვლება მოხდება, ხოლო გარკვეული რაოდენობა ამიერკავკასიის ბაზარზე გავა.

ჩემთვის გაუგებარია, მაინცდამაინც ვაკის პარკში რატომ უნდა მოგინდეს სასტუმროს აშენება

ჩემთვის გაუგებარია, რომ მაინცდამაინც ვაკის პარკში რატომ უნდა მოგინდეს სასტუმროს აშენება, — აცხადებს ფრაქცია „ქართული ოცნება — ძლიერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე ბიძინა გეგიძე ვაკის პარკში სასტუმრო „ბუდაპეშტის“ შესაძლო მშენებლობის საკითხის კომენტირებისას: **„ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებით იყო სამართლებრივი დავა. ჩვენ სამართლებრივ სივრცეში რევიზიას ვერ დავიწყებთ. ჩემთვის მიუღებელი და გაუგებარია, მაინცდამაინც ვაკის პარკში რატომ უნდა მოგინდეს, რომ ააშენო სახლი, სასტუმრო, კომერციული ობიექტი და ა.შ. ეს არის ჩვენი პოზიცია, რომელიც ჩვენ ავსახეთ საკანონდებლო ინიციატივაში“,** — განაცხადა ბიძინა გეგიძემ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საძალაძო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მერიას ხელახლა დაავალა ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობაზე ნებართვის გაცემის განხილვა.

ჭკვიანი სწავლობს სხვის შეცდომებზე, ბრიყვი – საკუთარზე,

ანუ, რა კავშირი აქვს მილიონი გერმანელის გაფიცვას თბილისის საპროტესტო მიტინგთან?!

საერთაშორისო პრესის ფურცლებზე ანშლაგით გამოტანილი ეს ფოტო – გერმანიის ტრასებზე მილიონობით მიტოვებული მანქანა – თითქოს არაფერ კავშირშია თბილისში, ამ დღეებში გამართულ მოკლული შვილის მამის ზაზა სარალიძის მხარდასაჭერ მიტინგთან, მაგრამ...

ეს ერთი შეხედვით...

დღეს, ეგებ, მართლაც არ არის პირდაპირ კავშირში. მაგრამ ხვალ, ზეგ... ნამდვილად იქნება...

ნამდვილად!!!

და იცით, რატომ?

იმიტომ რომ გვირგვლიანების, როგაძიძეების, ვაზაგაშვილების და სხვა ძალადობრივად და ტრაგიკულად სიცოცხლემოსპობილი ადამიანების მაგალითმა ჭკუა ვერ ასწავლა გაქსუებულ და ცხვირაწეულ „ბანდას“, რომელსაც ყველა დროში(!), ყველა რეჟიმის(!) პირობებში ჰქვია უსინდისო და გათავხედებული მაღალჩინოსნების „ორდენი“.

ARA აქვს მნიშვნელობა, სად ზის ეს „ბანდა“ – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა თუ... პარლამენტის შენობაში თუ კანცელარიის, პროკურატურის, სასამართლოს, მერიის თუ ადგილობრივი გამგეობის...

„ბანდას“ იმიტომაც ეწოდება და კიდეც არის „ბანდა“, რომ მის წევრებს (ოფიციალურს თუ ვირტუალურს) აქვთ ერთნაირი ფსიქოლოგია, რომელიც იშიფრება მოკლედ და კონკრეტულად: „ყველაფერი ფეხებზე მკიდია“; რომ გამოირჩევა არასახელმწიფოებრივი აზროვნებით, ხასიათდება დაუფარავი უტიფრობით, ერთნაირადაა გამორჩეული პათოლოგიური გულქვაობით თუ უსინდისობით ...

ასეთი „ბანდის“ წინააღმდეგ არ მოქმედებს არც ლექცია-„ნოტაცია“, არც მოწოდება, არც სინდის-ნამუსზე შეგდება, არც მუქარა და თითის ქნევა... არ მოქმედებს არაფერი ადამინური მორალის არც ერთი პოსტულატი, გარდა ერთისა: ხალხის – უკმაყოფილებით, შეურაცხყოფით, წყენით და უკვე ზღვარგადასული მოთმინებით გაერთიანებული ადამიანების რისხვით შეკრული მუშტი.

დიახ, ერთ მუშტად შეკრული და გაერთიანებული საზოგადოების სილა ან დარტყმა უნამუსო ცხვირ-პირში!

და მიყოლებული პანღური... უკანალში!

ისე, როგორც ეს ეფექტურად მოხდა, მაგალითად, ჩვენში, 2003 წლის ნოემბერში... ან, 2012 წლის ოქტომბერში... სხვაგანაც – უკრაინაში, ყირგიზეთში... აი, თუნდაც, სულ ახლახან, მეზობელ სომხეთში...

> ამ რადიკალური ნაბიჯების თავიდან ასაცილებლად და გასანეიტრალებლად სახელმწიფო და საზოგადოება სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ: პოლიტიკურს, მორალურს, ძალადობრივს... თუმც, ყველა მეთოდის მიზან-ჩანაფიქრი ერთია: კრიზისის თავიდან აცილება, მისი გამომწვევი მიზეზის, ანუ, „ორთქლის გამოშვებით“ მასების დამშვიდება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესის ნორმალურ კალაპოტში ჩაგდებაგაგრძელება.

ზოგს, ვისაც ჭკუა და გამოცდილება აქვს, ეს გამოსდის უსისხლოდ, ძალადობის გარეშე. ზოგს – არა და... სამთავრობო კაბინეტიდან „პანღურამორტყმული“ მიდის... სახლში. ზოგიც იძულებულია, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინოს.

აი, ამ ბოლო მიდგომის – ჩათრევა-ჩაყოლის ჭკუის სასწავლებელი, ქრესთომათული მაგალითია, სწორედ ზემოთ მოტანილი, აქამდე არნახულად ორიგინალური და ფსიქოლოგიურად ზუსტად გათვლილი და უმაღლესი ორგანიზებულობით გამორჩეული გერმანული აქცია: ზუსტად ერთ საათში, მას შემდეგ რაც სახელმწიფომ საწვავზე აქციზი გაზარდა, მილიონობით გერმანელმა მოქალაქემ, მთელი ქვეყნის საავტომობილო ტრასებზე საკუთარი მანქანა გააჩერა, უპატრონოდ მიატოვა და... სახლში ფეხით წავიდა (ჰო, ბიჭო, ერთბაშად არ ედარდა ვინმეს, არიქა, მანქანიდან რამე არ მომპარონ – მაგნიტოფონი, სარკე, ან, ბოლოს და ბოლოს, „ნასოსიო“...).

შედეგმა არ დააყოვნა: სახელმწიფომ, მთავრობამ არამცთუ უმალ აღიარა თავისი შეცდომა, არამედ... დაუყოვნებლივ, ყოველგვარი წუწუნის და მიკიბ-მოკიბვის გარეშე გააუქმა თავისივე არაპოპულარული გადაწყვეტილება და შეამცირა აქციზი.



ხალხის ნება, მისი ასე ემოციურად გამოხატვა საკმარისი აღმოჩნდა გონივრული, პოლიტიკურად გაბედული, თუმც, მთავრობის ავტორიტეტისთვის არცთუ სახარბიელო ნაბიჯის გადასადგმელად (როგორც ჩანს, ყველგან, ნებისმიერ მთავრობაში მოიძებნება თავისი „გახარია“!).

აი, ეს იყო „საზოგადოებრივი აზრის“ გავლენის და მისი მორალური „მუშტის“ სიძლიერის დემონსტრაცია, რომელსაც ჰქვია აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ერთობა!

ამ ერთობას კვებავს საერთო მიზანი, აღქმა საერთო „პრობლემისა“, რომელიც ეხება ყველა გერმანულ ოჯახს...

როგორც მედია ხაზგასმით აღნიშნავს, ამ მასშტაბური დემონსტრაციის დროს იყო სამთავრობო სტრუქტურების სერიოზული, კონკრეტული კრიტიკა, გამოიხატა მოქალაქეთა უკმაყოფილება, მაგრამ არსად ყოფილა ლანძღვა-გინება, ანგელა მერკელის დედის მოკითხვა, შინაგან საქმეთა თუ ეკონომიკის მიმისტრის გადადგომის მოთხოვნა, ბილწსიტყვაობა, მუქარა... მით უმეტეს, არავის მოუთხოვია კონსტიტუციაში სასწრაფოდ ცვლილებების შეტანა, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, მთავრობის გადადგომა და... „ნარკოტიზმის“ ლეგალიზაცია და მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია...

ეს არის ნორმალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. ამას ჰქვია სახელმწიფო აპარატის მიერ პრობლემის გადაჭრა ჩანასახში... ეს უნდა ვისწავლოთ ევროპისგან!

...ძალა ერთობაშიაო, ახლა რომ „აღმოუჩენიათ“ გერმანელებს, ვითომ ჩვენ არ ვიცოდით ეს? თანაც, აუუუუ, რამდენი ხნის წინათ? მის პარალელურად, გერმანელებისგან განსხვავებით, ჩვენ „ნაცარქექიას“ ფრთიანი ფრაზაც გვაქვს: „ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“ ამ სიბრძნეებს დიდი იაკობ გოგებაშვილის მეთოდით და „დედაენით“, საბას იგავ-არაკებით, ხალხური ზღაპრებით (კომბლე ჯეჯელავამ რომ „გაგვიბანძა“), არცთუ შორეულ წარსულში, ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებსა თუ დაწყებით კლასებში და ბეჯითი მოსწავლეები დედის რძესავით ითვისებდნენ ბალღობის ასაკიდან. (ეს მანამდე ხდებოდა, ვიდრე ქართულ სკოლას და მეცნიერება-განათლების სისტემას დასახრავ-გასანადგურებლად შეესეოდა ლომაია-შაშკინის არადედაენაზე გაზრდილი „ურდო“.)

აი, პროკურორი შოთაძე და მისი ბრიყვი „საძმო“, ეტყობა, იმთავითვე(!!!) ზარმაცობდნენ და, ადრეულ ასაკში, სკოლაში და ოჯახებში ვერ შეითვისეს ვერც ერთი ეს სიბრძნე. და ამ „ოროსნებმა“ და „სამოსნებმა“ (ეს პირობითი ტერმინი ექსპრეზიდენტს დავესესხე) ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ...

აი, მივადექით კიდეც, ზაზა სარალიძის მხარდამჭერი მიტინგის თემას და ... შეადარეთ, გერმანიაში დიდ პოლიტიკურ კრიზისად გადაქცევის საშიშროება როგორ უმალ აიცილეს თავიდან „ორთქლის გამოშვებით“ და აქ, ჩვენთან, ერთი ჯიუტი, ცხვირაწეული, კეზერაშვილისა და ფარცხალაძის საფინანსო პოლიციაში დაფრთიანებული ჩინოსნის ამბიციურობამ და უჭკუობამ, როცა მან ვერ „მოახერხა“ პრობლემურ მომჩივანთან კომუნიკაცია, მიგვიყვანა უაღრესად სერიოზულ პრობლემამდე, რომლის გადაჭრა-გამოსწორება არა და ვერ მოხერხდება იოლად და სწრაფად.

ვიმეორებ: სწორედ პროკურატურის ზოგიერთი თავკაცის და მაღალჩინოსნის უსუსურობით, საზოგადოებასთან სწორი, კომპეტენტური, გულწრფელი დიალოგის ნებსით თუ უნებლე უარყოფით, ხაზგასმული ამბიციურობითა და კუდაბზიკობით, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ გაელიზიანებიათ, „გადაერიათ“, მწყობრიდან გამოეყვანათ შვილმკვდარი მამა, მისი ნათესავ-ახლობლები, დაღუპული ჭაბუკის მეგობრები და გულშემატკივრები, იმდენად, რომ... დედაქალაქის ცენტრში, პარლამენტის წინამდებარე მოედანზე, უამრავი ტურისტისა და სტუმრის თვალწინ ჩაეტარებინათ საპროტესტო მიტინგი, რომელიც მეტისმეტად პრაგმატულად(!) გამოიყენა პოლიტიკურმა ოპოზიციამ, მავანმა უზრდელმა და პროვოკატორმა კი მკვდარი და ცოცხალი აგინა არა მარტო პროკურატურას, არამედ მთლიანად ხელისუფლებას...

ხაზგასმით აღვნიშნავ: არავინ ედავება (მათ შორის პირადად მეც), ამ სამართალდამცველ სტრუქტურას იურიდიულ ნიუანსებს. არავინ უკირკიტებს გამოძიებას და არ უწუნებს კომპეტენციას, არ უხსენებს არც „ბოტასების“ ქურდობას, არც გაჭიანურებულ სამართალღდგენით პროცესს და კიდევ სხვა არაერთ „უბედურებას“...

უბრალოდ, მათ, მომიტინგეებს, ღრღნით ეჭვი, რომ პროკურატურის ზოგიერთი მუშაკის კორპორატული და პიროვნული ინტერესების გამო, „ვიღაცას“ არ აწყობს სრული, ანუ ობიექტური სიმართლის დადგენა, რომ მაღალი ხელისუფლების „რომელიღაც“ წარმომადგენელი მფარველობს მავანს და მავანს, ანუ...

ყველაზე ცუდი, ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ იქ შეკრებილი ადამიანების თვალში (ნეტავ, მხოლოდ მათ თვალში) მთავარმა პროკურატურამ დაკარგა ყველაზე მთავარი: ნდობა!!!

გეყურება, კოლექტიურო „შოთაძე“: ნდობა! ნდობა! ნდობა!

სხვათა შორის, ამ მიტინგზე ზოგიერთი მოპოლიტიკოსო ელემენტის გარდა, არავინ ავყიობდა, არავინ ილანძღებოდა, არავინ იგინებოდა... კი, იყო უმწვავესი კრიტიკა, ზოგჯერ დაუნდობელი, მაგრამ კორექტული, პირდაპირი, კონკრეტული ბრალდებები. სწორედ ამას ჰქვია გამოხატვის უფლება და ადამიანებმა ზუსტი მისამართით გამოიყენეს კონსტიტუციით მინიჭებული ეს უფლება. არა ისე, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ იმავე მოედანზე გამართული სამწუხარო და სამარცხვინო „შაბაშის“ დროს...

> **ჰოდა, იყელყელაოს ახლა განივთებულმა სიბრიყვემ! არკვიოს ახლა ვისაც ხელეწიფება არბიტრობა, ვინ და რატომ მიიყვანა ადამიანების ეს ჯგუფი „დუღილის ამ წერტილამდე“? ამას ხომ ვეღარ დააბრალებენ ტრადიციულ უცხოელ მტერს თუ ჩრდილოელ ოკუპანტს? აი, „ოკუპანტის“ საქმე კი. რაც ქვეყანაში არეულობისა და ქაოსის შემოტანას გულისხმობს, კონკრეტული „იდიოტების“ ცანცარობით კი მართლაც კეთდება.**
>
> არადა, სულ ცოტა იყო საჭირო:
> ცოტა ჭკუა!
> ცოტა გათვლა!
> ცოტა წინდახედულობა!
> ცოტა ადამიანობა!
> ცოტა სითბო!
> ცოტა ყურადღება
> ცოტა... ცოტა... ცოტა...

ეს ან ოჯახში უნდა ისწავლო, ან სკოლაში, ან უნივერსიტეტში, ბოლოს და ბოლოს... ქუჩაში მაინც!



არსად არ გასწავლეს, თუ თავად ვერ ისწავლეთ, თქვე უნიჭოებო და მართლა ბრიყვებო!?!

ნუგზარ ფოფხაძე

P. S.

უკაცრავად ვარ მეგობარ-მკითხველთან მრავლისმეტყველი (ჩვენ შემთხვევაში ზუსტად რომ მიესადაგება ვითარებას) ტერმინების – „სიბრიყვისა“ და „ბრიყვების“ – ხშირი გამოყენების გამო. მაგრამ, ეგებ, ჩემი სიხისტის გასამართლებლად გამომადგეს ის მოსაზრება, რომ არსებობს მსოფლიო სიბრძნე იმის თაობაზე, რომ ბრძენნი და ჭკვიანნი სხვის შეცდომებზე სწავლობენ, ბრიყვები – საკუთარზე!

არაერთგზის მითქვამს: როცა მთავარ პროკურატურას სტრუქტურაში უზის საზოგადოებასთან ურთიერობის დეპარტამენტი, დაკომპლექტებული მაღალანაზღაურებადი ჩინოვნიკებით, რომელთა ერთობ „კომპეტენტური მოღვაწეობის“ შედეგია არა მარტო პარლამენტის წინ გამართული მრავალრიცხოვანი მიტინგი, არამედ მეტისმეტად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ჩამოყალიბებულია, თუნდაც, „ციანიდის“, „ფარული კადრების“ და სხვა რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციების მოსახლეობისთვის მიწოდების მამალ პრიმიტივიზმთან, სწორედ ამ სტრუქტურის მუშაობის შედეგიანობის ზუსტი შეუფასებლობაა ის ერთ-ერთი „საკუთარი შეცდომა“, რომელზედაც სწავლებას ჰქვია „სიბრიყვე“!!!

ეს ისე, უბრალოდ!

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, მოვუწოდოთ მედიას და საზოგადოებას, არ შევანელოთ პროკურატურისადმი საზოგადოებრივი კონტროლი, ვისწავლოთ (ამჯერად!) გერმანელი ავტომოყვარულებისგან ხელიხელჩაჭიდებული ერთობის დემონსტრაცია და ერთი ამოსუნთქვით შევძახოთ ჩვენს „მშობლიურ“ კეზერა-ბოტასა-ფარცხალაძე-შოთაძისეულ პროკურატურას:

ტაში-ტუში, კუკური!!!!

ნ. ფ.

თბილისი, სოხუმი, ცხინვალი

პირველად 10 წლის განმავლობაში, ჩნდება საქართველოს სამ ქალაქს შორის პირდაპირი კონტაქტების შესაძლებლობა

საქართველოსა **და მის ოკუპირებულ რეგიონებს შორის არაფორმალური ვაჭრობა იზრდება და პარალელურად, პირველად 10 წლის განმავლობაში, ჩნდება თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის პირდაპირი კონტაქტების შესაძლებლობა, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის ანალიტიკოსები, რომლებმაც ამ დღეებში მოხსენება „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — დრო, ვაჭრობაზე ვისაუბროთ“ გამოაქვეყნეს.**

როგორც ჯგუფის წევრი, მოხსენების თანაავტორი ოლესია ვართანიანი აცხადებს (https://www.ekhokavkaza.com/a/29251252.html) **„ყველა მხრიდან იწყება საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა, უკვე დროა, დაიწყოს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება“:**

„2008 წლიდან 10 წელიწადში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარა, გასაგები გახდა, რომ არსებული პოლიტიკური ვითარება, პრინციპში, არავის აწყობს. თუმცა, მეორე მხრივ, ამ 10 წლის განმავლობაში ვაკვირდებოდით, რომ რეგიონში შედარებითი სტაბილურობა იყო, რამაც შექმნა შესაძლებლობა, ყველა მხრიდან დაწყებულიყო საუბარი იმაზე, რომ დროა, დაიწყოს ეკონომიკური ურთიერთობების რაღაცნაირად განვითარება. ეს ყოველთვის არ გულისხმობს ურთიერთეკონომიკურ ურთიერთობას, რაც ასევე გასათვალისწინებელია, თუმცა პრინციპში, ყველა ფიქრობს იმაზე, ახლა რა ქნას. ამ ყველაფერს ემატება ის ეკონომიკური კრიზისიც, რომელსაც რუსეთი 2014 წლიდან განიცდის. ჩვენ გავაანალიზეთ ციფრები და გამოგვივიდა, რომ ის, რასაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი 2014 წლის შემდეგ იღებენ, რამდენჯერმე ნაკლებია უწინდელზე. ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში დადის (და იქ, ადგილზე ამას პრინციპში, უკვე აღარავინ მალავს), ხედავს, რომ იქ რეალურად ფიქრობენ იმაზე, როგორ გამოიმუშაონ მეტი თანხები, მათ შორის — საკუთარი ბიუჯეტისთვის, ანუ ეს მათ აიძულებთ, ალტერნატიულ შესაძლებლობებზე იფიქრონ და საუბრების დაწყება იმაზე, როგორ მოაწესრიგონ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე გადასახადების ამოღება, მაგალითად, ახალგორში, სწორედ ამას უკავშირდება“.

ვართანიანის თქმით, ცხინვალისთვის ძალზე რთული გადასაწყვეტი იყო, გაეხსნა ე.წ. საბაჟო პუნქტები და დაეწყო რაღაც გზით თანხების ამოღება იმ ვაჭრობიდან, რომელიც რეალურად იზრდება:

„ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, რომელიც, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზეც აისახა, საგულისხმოა, მათ შორის, იმითაც, რომ ეს რეგიონები იმპორტით ცხოვრობენ და როდესაც დოლარის მიმართ რუბლის კურსის ცვლილებები დაიწყო, პროდუქტი განუზომლად გაძვირდა. ადგილობრივი მეწარმეები როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში ეძებენ გზებს, რომ უფრო იაფი პროდუქტი ჩაიტანონ. ამჟამად ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ჩვენ თვალს ვადევნებთ ვაჭრობის ზრდას ახალგორის გავლით“.

ამგვარად, სახეზეა ორმაგი სურათი: ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და ოკუპირებულ რეგიონებს შორის არაფორმალური ვაჭრობა იზრდება, ხოლო, მეორე მხრივ, შეინიშნება კონტრაბანდასთან ბრძოლის გარკვეული მცდელობები.

ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, რა მოცულობებს აღწევს საქართველოსა და მის ოკუპირებულ რეგიონებს შორის სავაჭრო ბრუნვა, არ არსებობს, რადგან ეს არაფორმალური ვაჭრობაა.

„მე თითქმის ორი კვირა გავატარე იმ მძღოლებთან ერთად, რომლებიც ე.წ. კონტრაბანდით არიან დაკავებულები და ამ საუბრებზე დაყრდნობით მეტ-ნაკლები სიზუსტით შევძელით, დაგვედგინა ციფრი. მინდა, გითხრათ, რომ ცხინვალის რეგიონისთვის ეს საკმაოდ სერიოზული მიწოდებებია. მაგალითად, როდესაც მძღოლები იქ სიარულსა და პროდუქციის ჩატანას წყვეტდნენ, ადამიანები ოკუპირებული ტერიტორიიდან მიდიოდნენ და ითხოვდნენ მიწოდების განახლებას, რადგან საუბარია იმ პროდუქტებზე, რომელიც გაცილებით იაფია რუსეთზე ჩატანილთან შედარებით და, გარდა ამისა, ეს პროდუქცია ახალთახალია“ — ყვება მოხსენების თანაავტორი.

„ცხინვალის რეგიონი დიდწილად არის დამოკიდებული მიწოდებებზე, რომელიც რეგულარულად წარმოებს თბილისის ბაზრებიდან“.

ვართანიანის თქმით, ეს მცირე რეგიონია, მუდმივად იქ მყოფი საკმაოდ მცირერიცხოვანი მოსახლეობით და იგი დიდწილად არის დამოკიდებული მიწოდებებზე, რომელიც რეგულარულად წარმოებს თბილისის ბაზრებიდან.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სავაჭრო დერეფნების გახსნას, კერძოდ, ცხინვალის რეგიონის გავლით. ეს საკმაოდ პერსპექტიულ პროექტად წარმოჩინდება. ცხინვალში განაცხადეს, რომ „სამხრეთ ოსეთის მონაწილეობის გარეშე, ამ პროექტის რეალიზება საკმაოდ წარმოსახვითია“. საგრძნობლად შეიცვალა ტონი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა, რომელმაც ორიოდე დღის წინათ პრაღაში განაცხადა, რომ ყველა არსებული წინაღობა მუშაობის საგანია. ერთ-ერთი ასეთი წინაღობა უკავშირდება იმას, როგორი შეიძლება, იყოს ოსური მხარის ჩართულობა ამ დერეფნის მუშაობაში.

„პროცესების მოწესრიგება შეუძლებელია. ჩვენი საუბრებიდან მხარეების, მათ შორის რუსეთის წარმომადგენლებთან და იმ მიმწოდებლებთან, რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებულები ამ ალტერნატიული გზის გახსნაში, გამოიკვეთა, რომ ძალიან ბევრ რამეს პოლიტიკური სტატუსი აფერხებს. მაგალითად, ქართული მხრიდან პოლიტიკური ლიდერებისა და თანამდებობის პირების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია, რომ ცხინვალის ხელისუფლება, მაგალითად, საკუთარ შტამპებს სვამდეს, ან ვთქვათ, საბაჟო მოსაკრებლებს კრეფდეს. ეს ცხინვალის ხელისუფლებისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა, მეორე მხრივ, იქ არსებობს პირველხარისხოვანი ინტერესი, შესაძლო ტრანზიტიდან ფინანსური სარგებელი მიიღონ. ჩვენ ვესაუბრეთ, მათ შორის, რამდენიმე კომპანიას და გამოიკვეთა, რომ არსებობს შესაძლებლობა, გამოიძებნოს იმგვარი გადაწყვეტილება, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს.“

„განიხილება ოსური საბაჟო ორგანოების რუსულთან ინტეგრირების პროექტი, თუმცა მაშინ ცხინვალს ყველა ფუნქციის რუსეთისთვის გადაცემა მოუწევს“.

მოხსენების კიდევ ერთი საინტერესო ასპექტია საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ოკუპირებულ რეგიონებზე გავრცელება. ეს ინიციატივა მოცემულია საქართველოს მთავრობის ბოლო სამშვიდობო ინიციატივაშიც სახელწოდებით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, თუმცა აფხაზეთში იგი ოფიციალურ დონეზე სკეპტიკურად იქნა აღქმული.

„2014 წლის შემდეგ აფხაზეთში აქტიურად ამუშავდნენ იმაზე, რომ დაიწყოს პირდაპირი მიწოდებები, მათ შორის — ევროპის სახელმწიფოებში“.

როგორც მოხსენების თანაავტორი განმარტავს, არსებობს ორი სხვადასხვა პროექტი: ერთი — ეს ქართული მხარის წინადადებებია, რომელიც ცოტა ხნის წინათ გაჟღერდა და ითვალისწინებს ნორმატიული ბაზისა და ინფრასტრუქტურის შექმნას როგორც აფხაზეთში მიმავალი, ისე აფხაზეთიდან მომავალი საქონლის აღსარიცხად. თუმცა ეს ყველაფერი განხორციელდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე:

მოხსენება შეიცავს ერთ ძალზე საინტერესო დეტალს: იმპორტს ახორციელებენ, მათ შორის, კომპანიები, რომლებიც ლამის 16 ევროპულ ქვეყანაში არიან რეგისტრირებული...

„არ მსურს, ჩავუღრმავდე დეტალებს იმისა, როგორ ახორციელებენ ისინი ამ ვაჭრობას, თუმცა როგორც თავად ბიზნესმენები მეუბნებოდნენ და ის ხალხი, რომელიც ამ პროცესს იცნობს, ვაჭრობა, მათ შორის დასავლეთის ქვეყნებთან, ევროკავშირის სახელმწიფოებთან შესაძლებელია, თუმცა დაკავშირებულია ბევრად უფრო დიდ პრობლემებთან და „თავის ტკივილთან“, — ამბობს ამასთან დაკავშირებით ვართანიანი.

როგორც ცნობილია, საქართველო ეწინააღმდეგებოდა მსგავს პირდაპირ კონტაქტებს, მათ შორის — ეკონომიკურს. თუმცა სადღეისოდ მდგომარეობა შეცვლილია:

„თბილისში ჯერ სრულად ვერ აცნობიერებენ იმ ინტერესს, რომელიც სოხუმში შეიძლება, გააჩნდეთ. ქართულ მხარეს ინიციატივების მომზადებაზე ნახევარი წელი დაეხარჯა. იყო ძალზე ემოციური შიდა დებატები. შემიძლია, გითხრათ, რომ აქ, მათ შორის ხელისუფლებაში დღემდე არიან წარმოდგენილი ადამიანები, რომლებსაც ეეჭვებათ, აქედან რაიმე გამოვიდეს. პირადად მე ამას ცოტა განსხვავებული კუთხით ვუდგები: ჩემი აზრით, ეს პროცესი ძალზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო, უპირველესად — ქართული პოლიტიკური და სახელმწიფო ისტებლიშმენტისთვის საიმისოდ, რომ ჩამოეყალიბებინათ საერთო აზრი, რომ ეს გასაკეთებელია. ამდენი წლის განმავლობაში ეს, პრინციპში, პირველი მკაფიო და ცხადი პოზიციაა, რომელმაც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გაიჟღერა. ვფიქრობ, თუ თბილისი და სოხუმი მოილაპარაკებენ და ინტერესებს შეაჯერებენ, უპირველესად იმის უზრუნველსაყოფად, რაც აფხაზური მხარისთვის იქნებოდა საინტერესო (აქ ეკონომიკასა და ვაჭრობაზე ვსაუბრობ და არა პოლიტიკაზე, რადგან ამისათვის სასაუბრო სივრცე არ არის)...“.

მოხსენებაში ასევე ნათქვამია, რომ პირველად ათი წლის განმავლობაში, თბილისს გაუჩნდა შესაძლებლობა, სოხუმსა და ცხინვალთან პირდაპირი კონტაქტები დაამყაროს.

„ამჟამად თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის პირდაპირი დიალოგი არ არსებობს, ყველაფერი მხოლოდ ჟენევის დისკუსიების ფარგლებში წარმოებს. ჩვენ განვიხილავთ და ვსაუბრობთ იმაზე, რომ არსებობს გარკვეული ინტერესები, რომელიც ყველა მხრიდან მომწიფდა და პრინციპში, თუ რეალურად ხართ დაინტერესებული იმით, რომ ამისაგან რაიმე გამოვიდეს და ამან განვითარება ჰპოვოს, საუკეთესო, ალბათ, პირდაპირი კონტაქტების დამყარება იქნებოდა. ანუ, მე ვიტყოდი, რომ ამ ათი წლის განმავლობაში პირველად ჩნდება შესაძლებლობა, ან, როგორც ფაქტი, ის უკვე გაჩნდა“, — ამბობს ამასთან დაკავშირებით ვართანიანი.

მისივე განმარტებით, აქ უპირველესად ეკონომიკურ პროექტებზეა საუბარი, რადგან **„ეს ისაა, რაც ამ ეტაპზე აინტერესებთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და, მეორე მხრივ, თბილისშიც დაინტერესებულები არიან იმით, რომ განავითარონ კონტაქტები და კავშირები“.**

რაც შეეხება მოსკოვს — მის დამოკიდებულებას თბილისსა და სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის პირდაპირი კავშირებისა და ვაჭრობის გააქტიურების შესაძლებლობის მიმართ, რუსეთი არ აპირებს რაიმე ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა აფხაზეთის ან ცხინვალის რეგიონის სტატუსს, თუმცა სატრანზიტო კავშირის შესახებ მთელი ეს მოლაპარაკებები სწორედ რუსეთის ინიციატივით დაიწყო:

„მოსკოვში ძალზე საღად აფასებენ თავის პოლიტიკურ პოზიციას და დარწმუნებულები არიან, რომ მათი წარმოდგენილობა გაგრძელდება, მათ გაძევებას არავინ გეგმავს. ამავდროულად, ისინი აცნობიერებენ და ამის შესახებ ღიად საუბრობენ, რომ დაფინანსება, რომელიც სოხუმსა და ცხინვალს მიეწოდება, მცირდება და უახლოეს ხანებში ამ მხრივ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ამიტომაც ფიქრობენ, „რატომაც არა? თუ სოხუმი და თბილისი მოლაპარაკებას შეძლებენ, მივცეთ მათ შესაძლებლობა, გამოიმუშაონ ფული, რომელსაც მოსკოვი ვერ იძლევაო“.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

უკრაინამ რუსული მედიის დაბლოკვა დაიწყო

უკრაინელმა **პროვაიდერებმა ზოგიერთი რუსული რესურსების დაბლოკვა დაიწყეს, თუმცა ქსელის ბევრ მომხმარებელს ჯერ კიდევ აქვს საშუალება შევიდეს რუსული დომენის საიტებზე.**

პროვაიდერები ბლოკავენ წვდომას ისეთ საინფორმაციო რესურსებთან, როგორიცაა“ „РИА Новости“, „РИА Новости Украина“, „НТВ“, „РЕНТ-ТВ“, და „ВГТРК“.

საიტებზე შესვლისას მომხმარებელს ხვდება წარწერა „2017 წლის 15 მაისის საპრეზიდენტო განკარგულების შესაბამისად, რესურსებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია“.

გრიგოლ ვენაძე – ინაშვილეგის გვარის ღირსეული წარმომადგენელი

ხშირია შემთხვევა, როცა ერთ ოჯახში რამდენიმე ცნობილი ხელოვანი იზრდება... თუმცა, თავის დროზე საერთო გაკვირვება გამოიწვია ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ სანდრო ინაშვილი, გრიგოლ ვენაძე და ანტონ ინოველი ღვიძლი ძმები იყვნენ (ვენაძე და ინოველი ფსევდონიმებია). ერთი ოჯახიდან სამი მომღერალი, სამივე ბარიტონი, მართლაც იშვიათობას წარმოადგენს. სანდრო ინაშვილი ლეგენდარულ ვანო სარაჯიშვილთან ერთად ქართული ვოკალური სკოლის ფუძემდებლად ითვლება, რომელმაც უმაღლეს პროფესიულ დონეზე აიყვანა ჩვენი საოპერო ხელოვნება და წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურა მის წინსვლასა და განვითარებას.

ცნობილია ისიც, რომ გარკვეულ უხერხულობას ქმნის, როდესაც საქვეყნოდ აღიარებული ძმის გვერდით მის ჩრდილში გიწევს ყოფნა...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ვენაძემ (ინაშვილმა) მოახერხა და თავისი გამოკვეთილი სიტყვა თქვა საოპერო ხელოვნებაში, და არა მარტო მასში....

გრიგოლი დაიბადა 1896 წელს თბილისში იოველ დავითის ძე ინაშვილის და პელაგია თევდორეს ასული ვლადიმიროვას ოჯახში. იოველი წარმოშობით სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირიდან გახლდათ, რომელიც მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს ხელობის შესასწავლად. იგი თავისი სპეციალობით დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში. ზაფხულობით ოჯახი მშობლიურ სოფელში ჩადიოდა, იქ, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ. გრიგოლმა პირველად სწორედ აქ მოისმინა პაპამისის დავით ინაშვილის ფანდურზე დამღერებული შესანიშნავი ხალხური მელოდიები. არავინ იცის, იქნებ ამან განაპირობა ძმების დაინტერესება და სიყვარული სიმღერისადმი, რამაც მომდევნო წლებში სათავე დაუდო იმათ შემოქმედებით საქმიანობას.

გრიგოლმა პირველდაწყებითი განათლება რკინიგზის სპეციალიზებულ სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა გააგრძელა ამავე ორგანიზაციის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად. აქვე მსახურობდა მამამისიც. 1913 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობს ნაძალადევის სცენის მოყვარულთა ცნობილ დრამატულ წრეში. ნაძალადევის სახალხო თეატრი დაარსდა 1912 წელს ცნობილი მწიგნობრის ნიკოლოზ ჩხიკვაძის თაოსნობით. მასში ძირითადად მონაწილეობდნენ არაპროფესიონალი მსახიობები. ეს თეატრი თავის დროზე რევოლუციური იდეების პროპაგანდის კერად იყო მიჩნეული. რეპერტუარიც იმავე მიზნებს ემსახურებოდა და ყოველი დადგმა რევოლუციური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. 1912 წელს საზეიმოდ გაიხსნა სახალხო თეატრის ახალი შენობა და ჩამოყალიბდა სცენის მოყვარეთა მუდმივმოქმედი წრე. სწორედ ამ წრეში იწყებს თავის საქმიანობას გრიგოლ ვენაძე, რომელიც მთელი მონდომებით ებმება თეატრალურ ცხოვრებაში, მონაწილეობს დრამწრის მიერ დადგმულ სპექტაკლებში. აქ იგი კარგად დაეუფლა სასცენო ხელოვნების საიდუმლოებებს, რომელიც შემდგომ წარმატებით აისახა მის შემოქმედებაში. სულ მალე ცნობილი გახდა მისი სასიმღერო შესაძლებლობებიც. სპექტაკლებში მონაწილეობის პარალელურად ის ხალხური სიმღერის ანსამბლის სოლისტი გახდა. მოგვიანებით კი ოპერეტის დასში მიიწვიეს.

გრიგოლი დედის მხრიდან ცნობილი მომღერლის კაზიმირ ცხომელიძის ახლო ნათესავი იყო, რომელსაც შესანიშნავი ბარიტონი ჰქონდა და იმ დროს დიდი სახელით სარგებლობდა. მისი მეშვეობით და უშუალო დახმარებით მოხვდა გრიგოლი 1918 წელს პროფესორ ევგენი რიადნოვის საოპერო სტუდიაში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1924 წელს დაამთავრა. მან სტუდენტობის პერიოდშივე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება, დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ახალგაზრდა მომღერლის ვოკალურ წინსვლას და მას საუკეთესო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. აი, რას წერდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1924 წელს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისში“ მისი მონაწილეობის შესახებ: „გრიგოლ ვენაძის მიერ შესრულებული კიაზო დღითი დღე საგრძნობლად ვითარდება, აშკარად წინ მიიწევს და ოპერის ღირსეულ მსახიობთა რიგებს ამშვენებს...“ მას ბუნებით ჰქონდა მომადლებული შესანიშნავი ტემბრის და სილამაზის ხმა, მაღალი მუსიკალური კულტურა, მისი ძლიერი ლირიკული ბარიტონი თანაბრად ჟღერდა ყველა რეგისტრში, რითიც მსმენელში საყოველთაო მოწონებას იწვევდა. გრიგოლი თბილისის ოპერის თეატრში, რომლის სოლისტი 1941 წლამდე იყო, წარმატებით გამოდიოდა ყველა წამყვან პარტიებში როგორც ქართულ, ისე რუსულ და იტალიურ ოპერებში. მის მიერ შესრულებული როლებიდან უნდა აღინიშნოს: მურმანი (ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“), აბდულ არაბი (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“), გოჩა (ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), ზაქროს მამა (ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“), ონეგინი და ელიცკი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“ და „პიკის ქალი“), ჟერმონი (ვერდის „ტრავიატა“) და სხვა.

გრიგოლ ვენაძე მომღერალთა იმ თაობის ღირსეული წარმომადგენელია, რომელსაც ეკუთვნის ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ანდღულაძე, სანდრო ინაშვილი, ეკატერინე სოხაძე, დავით გამრეკელი, ნადეჟდა ხარაძე, დავით ბადრიძე, ვალერიან ქაშაკაშვილი, ნადეჟდა ცომაია, პეტრე ამირანაშვილი და სხვები.

ოპერის თეატრში მოღვაწეობასთან ერთად, იგი წლების განმავლობაში საინტერესო და წარმატებულ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

ჯერ კიდევ 1921 წლიდან ჩაება სამხედრო-საშეფო საქმიანობაში, რომლის უშუალო მონაწილე და ორგანიზატორი თვითონ იყო. ასეთმა ურთიერთთანამშრომლობამ უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა დიდი სამამულო ომის პერიოდში, როდესაც ვენაძე უკვე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო ფილარმონიას. ფილარმონიის მხატვრული კოლექტივები და თვითონ გრიგოლ ვენაძეც მრავალმხრივ საშეფო კონცერტებს მართავდნენ ჯარის ნაწილებში და ჰოსპიტლებში. გაწეული ნაყოფიერი და უანგარო თანამშრომლობისთვის იგი სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ არაერთხელ იქნა დაჯილდოებული.

1944-დან 1953 წლამდე ვენაძე ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი გვერდში ედგა და ყოველნაირად ხელს უწყობდა ქართველ ხელოვანებს, იცავდა მათ უფლებებს, რითიც გარკვეული წვლილი შეჰქონდა კულტურის სფეროს მოღვაწეთა შემოქმედებით საქმიანობაში. განსაკუთრებით წარმატებული იყო გრიგოლის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო ცირკში, სადაც მას 1953 წლიდან ბოლო დრომდე დირექტორის თანამდებობა ეკავა. იგი იყო ერთ-ერთი აღმდგენელი და სულის ჩამდგმელი ქართული საცირკო ხელოვნებისა. უამრავი სიახლე შემოიტანა ამ საოცრად პოპულარულ ხელოვნებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა და შედგა ქართული ცირკის სრულყოფილი ნაციონალური პროგრამა. ცირკი აღჭურვა სპეციალური ტექნიკით, სარეპეტიციო მანეჟებით, დასში შემოიყვანა მაღალი დონის აკრობატები, ეკვილიბრისტები და კომიკოსები, რამაც მეტად საინტერესო გახადა საცირკო წარმოდგენები არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ.

როგორც აქტიური საზოგადოებრივი პიროვნება, გრიგოლ ვენაძე არაერთგზის ყოფილა არჩეული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოების დეპუტატად. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით. გარდაიცვალა 1968 წელს, 72 წლის ასაკში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დამსახურებულმა პიროვნებამ და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ ვენაძემ დაუვიწყარი სახელი დაიმკვიდრა ჩვენი ეროვნული თეატრის ისტორიაში, როგორც გამორჩეულმა და მრავალმხრივმა ხელოვანმა.

გელა ქოქიაშვილი,
კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.
ტ.: 551-49-19-97.

პაატა ბურჭულაძე პეტერბურგში საიუბილეო კონცერტს მართავს

შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს აღსანიშნავად პაატა ბურჭულაძე პეტერბურგში მიხეილის თეატრში გალა-კონცერტს გამართავს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ თეატრის სოლისტები ოლგა ბოროდინა და მარია გულეგინა, ახალგაზრდა ტენორი ოთარ ჯორჯიკია, ასევე იტალიელი საოპერო მომღერლები ფერუჩო ფურლანეტტო და მარკო ბარტი. მაყურებელი ცნობილ და იშვიათად შესრულებულ საოპერო ნაწარმოებს მოისმენს, ასევე იქნება პუჩინის, ბიზეს, შტრაუსის, ჩაიკოვსკის, ვერდის და სხვა კლასიკური შედევრები. კონცერტი 29 მაისს საღამოს იმართება. ბურჭულაძე თავის საიუბილეო სეზონის დროს კონცერტებს გეგმავს მოსკოვში, სოფიასა და ერევანში. პაატა ბურჭულაძე მიხეილის თეატრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი 2017 წლის ივლისს გახდა.

სკოლებში რელიგიების სწავლებას მივესალმები

„რელიგიების სწავლებას სკოლებში მივესალმები, რადგან თანამედროვე სამყაროში რელიგიების სახელით წარმოებული კონფლიქტების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს თეოლოგიის საწყისებში ჰქონდეთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ფუნდამენტი ცოდნის თვალსაზრისით. სამუშაო პროცესში უშუალოდ ჩართული არ ვიქნები, თუმცა არაერთხელ დამიდასტურებია ჩემი მზაობა, განვიხილო ყველა ის რეკომენდაცია, რომელსაც შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი და ხელი შევუწყო, როგორც განათლების სისტემას, ასევე სხვადასხვა კონფესიებს და ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ სწორი ინფორმაცია პედაგოგების მეშვეობით მივაწოდოთ ბავშვებს სკოლებში განათლების სამინისტროს სტრუქტურისა და სისტემის ფარგლებში,“ — განაცხადა პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა.

მან ასევე განაცხადა, რომ რელიგიების ისტორიები სკოლებში შესაძლოა, ჰუმანიტარული მიმართულების პედაგოგებმა ასწავლონ, თუმცა აღნიშნა, რომ მათ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული გადამზადების სპეციალური კურსი უნდა გაიარონ.

სიღნაღში დენდროლოგიური პარკი გაიხსნება

სიღნაღში დენდროლოგიური პარკი, სავარაუდოდ, ოთხ თვეში გაიხსნება.

პროექტის ფარგლებში იგეგმება — გადასასვლელი გზის შეკეთება, ფილების დამონტაჟება, დამხმარე კედლების მოპირკეთება, გარე განათების სისტემის შექმნა და სკამების დამონტაჟება. გარდა ამისა, პარკში დაგეგმილია ახალი ფიტნესზონის მოწყობა.

ეს სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

პროექტის ღირებულება დაახლოებით 258 ათას ლარს შეადგენს.



ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ?!

ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲑᲡ თუ არა ევროკავშირი იმ სერიოზულ წნეხს, აშშ-ის ადმინისტრაცია რომ იყენებს მის მიმართ — მთავარი თემაა, რაზეც ინტენსიურად მსჯელობენ მთელ მსოფლიოში. სავაჭრო ომი, რომელიც ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ წამოიწყო საკუთარი პარტნიორებისა და პოტენციური მეტოქეების წინააღმდეგ, უფრო შანტაჟს ჰგავს, ვიდრე ქვეყნებს შორის, მით უმეტეს, მოკავშირეებს, ნორმალურ, საზრიან ურთიერთობას.

პრეზიდენტი ტრამპი ისეთ შეტევაზეა გადასული, რომ მისი შეჩერება არცთუ იოლია. საგონებელში ჩავარდნილი ე.წ. მოკავშირეები ძალას არ იშურებენ ვითარების გამოსასწორებლად და სისტემატურად ახსენებენ ტრამპს ესოდენ ეგოისტური პოლიტიკის სამომავლო კრახის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.

გავიხსენოთ საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების ვიზიტები აშშ-ში, როცა ხაზგასმით ითქვა მათი მხრიდან, რომ ევროატლანტიკური კავშირები — ათეული წლის განმავლობაში მთელ რიგ ქარტეხილებში გამოვლილი, არ საჭიროებს ტრამპის მიერ შემოღებულ „ექსპერიმენტს“, ვინაიდან მას უდავოდ მოჰყვება ევროპელთა იმედგაცრუება.

ტრამპმა ყურადღებით მოისმინა მაკრონ-მერკელის გულისწუხილი, მაგრამ ეს იყო და ეს. მერკელის ვაშინგტონიდან წასვლის მეორე დღეს, ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს ტრამპმა ქათინაურებით შეამკო ორივე სტუმარი, თუმცა შემდეგ განაცხადა, რომ მას უყვარს ამერიკა, მისთვის „ამერიკა არის, უპირველეს ყოვლისა“ და რახან ასეა, ვერ დაეთანხმება მათ ვერც ევროკავშირ-აშშ-ს შორის არსებულ სავაჭრო საკითხებში და ვერც ირანთან დადებული ხელშეკრულების ვარგისობაში.

აშშ-ის პრეზიდენტი თვლის, რომ ევროკავშირთან, ისე, როგორც ჩინეთთან, სავაჭრო სალდო ამერიკისთვის ერთობ ნეგატიურია, რის გამოც ეს ქვეყანა დააწესებს ახალ ტარიფებს (მომატების თვალსაზრისით) ევროპულ საქონელზე — ფოლადიდან, ალუმინიდან დაწყებული, ავტომანქანებით დამთავრებული.

რაც შეეხება ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს — ირანთან გაფორმებულ ხელშეკრულებას — აშშ გამოვიდა ამ ხელშეკრულებიდან, ვინაიდან ის მიუღებელი იყო ტრამპის და მისი ადმინისტრაციისთვის.

წინა ადმინისტრაციის მმართველობის დროს გაეროს ხუთმა მუდმივმა წევრმა და გერმანიამ, ირანთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ირანმა შეაჩერა ურანის იმ დონემდე გამდიდრება, რის შედეგად ის ვერ მიიღებს ბირთვულ ბომბს.

ირანი დათანხმდა ხუთეულისა და გერმანიის მოთხოვნას და ივალდებულა ურანის გამდიდრება მხოლოდ 8-9%-ის ფარგლებში, რაც სრულიად საკმარისია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, განსაკუთრებით მედიცინის დარგში. ნაცვლად ამისა, ხუთეული და გერმანია შეჰპირდნენ ირანს მის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმებას.

კონტროლი იმაზე, თუ როგორ ასრულებს ირანი აღებულ ვალდებულებას, დაევალა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, რომელიც ხელშეკრულების გაფორმებიდან დაწყებული, დღემდე პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ ხნის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან, ირანის მისამართით, არც ერთი ნეგატიური სიტყვა არ იყო თქმული. პირიქით, ის მუდამ აცხადებდა, რომ ირანი ასრულებს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

ᲛᲐᲨ ᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ?

ამ შემთხვევაში მრავალ ფაქტორთან გვაქვს საქმე. უპირველესად კი ირანის როლის ზრდასთან ახლო აღმოსავლეთში. მის აქტიურ პოზიციასთან სირია-ერაყში, რამაც აშშ-ის როლი მსოფლიოს ამ რეგიონში დააქვეითა.

ირანი ის სახელმწიფოა, ყელში რომ ეჩხირება აშშ-ს და მის ისეთ მოკავშირეებს, როგორებიც არიან საუდის არაბეთი, ყატარი, არაბული საამიროები, ისრაელი. ყველა ესენი არათუ უარყოფითად, არამედ მტრულად აღიქვამენ შიიტური ირანის მომძლავრებას და ძალას არ იშურებენ ირანის დასაწიხლად. ამ პროცესში მათ იმედი აქვთ აშშ-ის, რომელსაც საკუთარი ნეგატივებიც უამრავი აქვს, 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციიდან დაწყებული. მაშინ ამბოხებულმა ირანელებმა, კარგა ხნის განმავლობაში ალყაში მოაქციეს ირანში აშშ-ის საელჩო.

დღემდე აშშ-სა და ირანს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. რაც არსებობს — არის ერთმანეთის ლანძღვა და ამერიკელთა მიერ ჩადენილი არაერთი ძალისმიერი აქტი, რამაც ირანის პოლიტიკური მოღვაწეობის სიცოცხლე შეიწირა.

შაჰის დროინდელი ირან-ისრაელის კონსტრუქციული ურთიერთობები ისტორიას ჩაბარდა. დღეს რაც არის, უდავოდ შეიძლება ვუწოდოთ — კონფრონტაცია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პატარა ნაპერწკალია საჭირო, რომ ისრაელმა იერიში მიიტანოს ირანზე. თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამას, გამოცნობა ძნელი არ არის — ირანი შეასრულებს დაპირებას — ისრაელის პირისაგან მიწისა აღგვასთან დაკავშირებით, რასაც უდავოდ მოჰყვება დიდი ომი აშშ-ისა და სხვა საელმწიფოების ჩართულობით.

ტრამპისთვის ისრაელის ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამ სახელმწიფოს შექმნიდან დაწყებული სწორედ აშშ იყო ის ქვეყანა, ვინც მხარში ედგა ისრაელს. აშშ-ის ყველა პრეზიდენტი იყო ისრაელის მეგობარი და ნებისმიერ საკითხში მისი მხარდამჭერი. მაგრამ ტრამპი სხვაა, ყველაფერთან ერთად მისი ოჯახი ებრაული სულისკვეთების გავლენის ქვეშ არის. ტრამპის ქალიშვილი ივანკა, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი და მისი მეუღლე კუშნერი, ასევე აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი — ორთოდოქსი ებრაელი, დიდი გავლენით სარგებლობენ პრეზიდენტზე. სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ აშშ-ის ხალხმრავალ დელეგაციას თელ-ავივიდან იერუსალიმში აშშ-ს საელჩოს გადატანის ცერემონიალზე.

ამ ამბავმა რომ უაღრესად უარყოფითი ვნებათა ღელვა გამოიწვია არაბულ სამყაროში, განსაკუთრებით პალესტინაში, მტკიცება არ სჭირდება. მარტო ცერემონიალის დროს დაწყებულმა პალესტინელთა ბუნტმა (რომლებსაც იერუსალიმი თავიანთ დედაქალაქად მიაჩნიათ) 63 პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა.

ირანი მხარს უჭერს პალესტინას და მის ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის, განსაკუთრებით პოლიტიკურ პარტია „ჰამასს“, რომელსაც აშშ ტერორისტად აღიქვამს. ირანი არ იზიარებს ტრამპის განცხადებას — იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადების გამო, რაც ასევე ცუდად აღიქმება ტრამპის ადმინისტრაციაში.

თუ ზემომოყვანილ მაგალითებს დავუმატებთ სირია-ერაყში ბოლო წლებში განვითარებულ მოვლენებს, იოლად დავრწმუნდებით, რომ ტრამპის ანტიირანული პოლიტიკა მთლად უსაფუძლო არ არის, ცხადია, ტრამპის გადასახედიდან.

თვალი შევავლოთ ვითარებას სირია-ერაყში. სირიაში ომი დასასრულს უახლოვდება. მასში იმარჯვებს აშშ-ს და კოლექტიური დასავლეთისთვის მიუღებელი ფიგურა, ქვეყნის პრეზიდენტი ასადი. ამ გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანეს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა და ირანის მებრძოლებმა; ლიბანში არსებულმა ორგანიზაცია „ჰესბოლამ“, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ირანთან. ამ ორგანიზაციასაც ვაშინგტონი ტერორისტულად აღიქვამს.

სულ ახლახან გაიმართა ერაყის საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვეს არა იმ შიიტებმა, რომლებსაც წლების განმავლობაში ლოიალური ურთიერთობა ჰქონდათ აშშ-თან და მის მოკავშირეებთან, არამედ რადიკალმა შიიტებმა. ისინი დაუფარავად აცხადებენ, რომ სურთ ირანის დახმარება, ვიდრე დასავლეთის. ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი უდავოდ ის იქნება, ვისაც რადიკალები შეარჩევენ, რაც თავისთავად მიანიშნებს აშშ-ის პოზიციების შესუსტებას.

სპეციალისტების აზრით, ხელისუფლებაში მოდის მუკტადა ას-სადრი, რომელსაც ოკუპანტებთან (აშშ-ი) ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. არჩევნებამდე მან განაცხადა, რომ ქვეყნის საკამათო ტერიტორიებს ერაყის უშიშროების ძალები უნდა აკონტროლებდნენ და არა უცხოელები. მისი ნათქვამია — **„თუ აშშ არ გავა ერაყიდან, მაშინ ამერიკელი ჯარისკაცები გადაიქცევიან შიიტური წინააღმდეგობის მებრძოლების კანონიერ სამიზნედ“.**

ამ პიროვნების პრემიერ-მინისტრობის შემთხვევაში ირანის პოზიციები მკვეთრად გაიზრდება არა მარტო ერაყში, არამედ რეგიონში. დაიწყება სტრატეგიული ავტომაგისტრალის ირან-ერაყი-სირია-ლიბანი და გაზსადენის ირანი-ერაყი-სირია-ხმელთაშუა ზღვა მშენებლობა. აქედან გამომდინარე აშშ-ის ახლოაღმოსავლური პოლიტიკის პერსპექტივა არცთუ დასამშვიდებელია.

ვითარების შებრუნების მიზნით ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ეკონომიკური სანქციების დაწყებას ცდილობს, რაც გამოჩნდა კიდევაც სახელმწიფო მდივნის პომპეოს მიერ ჩამოყალიბებულ გეგმაში. ადმინისტრაციის განცხადებას მოკავშირეები სულმოუთქმელად ელოდნენ, თვლიდნენ რა მისი პოზიციების შერბილებას ირანის მიმართ. მათდა სამწუხაროდ პომპეომ საჯაროდ განაცხადა, რომ აშშ ირანს ისეთ მკაცრ სანქციებს დაუწესებს, დღემდე არავის რომ სმენია.

აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გეგმა უფრო ულტიმატუმია, რომელიც ირანის სუვერენიტეტს მიწასთან ასწორებს და არა მარტო ირანის, არამედ ევროპელი მოკავშირეებისაც, თუ ისინი გაბედავენ ირანთან ვაჭრობას.

ტრამპის გადაწყვეტილებამ ირანთან დაკავშირებით გააშიშვლა ის რეაქციული პოლიტიკა, რასაც აშშ ახორციელებს მთელ მსოფლიოში. ამ პოლიტიკის მიხედვით აშშ არის და მუდამ იქნება მსოფლიოს ერთპიროვნული მბრძანებელი და თუ ვინმე შეუბრუნებს სიტყვას — სერიოზულად დაისჯება. მისთვის არც მოკავშირეობას აქვს მნიშვნელობა, არც გაეროს ან უშიშროების საბჭოს. ის არც წინა ადმინისტრაციის დროს ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს სცემს პატივს და შესაბამისად მზადაა, უარი თქვას მათზე.

ᲠᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲔᲡᲝᲓᲔᲜ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲝᲑᲘᲡ, ᲰᲔ�გᲔᲛᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲔᲑᲐᲡ?

საფინანსო-ეკონომიკური სისტემა, რომელიც მან თავს მოახვია მსოფლიოს. ამერიკული დოლარი და სამხედრო ძლიერება — დედამიწის თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში ამერიკული სამხედრო ბაზები. აშშ-ის გავლენა მსოფლიო პოლიტიკაზე უდიდესია, თუმცა მასაც გაუჩნდა ბზარები, რაც ნათლად გამოჩნდა სულ ახლახან სანკტ-პეტერბურგში გამართულ ეკონომიკურ სამიტზე, რომელშიც 140 ქვეყნის 18000 სტუმარი ესწრებოდა. სტუმართა შორის იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი აბე, ჩინეთის თავმჯდომარის მოადგილე ვან ჩიშანი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი ლაგარდი, სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები.

ამ გრანდიოზული ფორუმის დროს არაერთხელ ითქვა პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკის მიმართ აუგი, განსაკუთრებით ეკონომიკურ სანქციებთან დაკავშირებით, რასაც აშშ-ის ადმინისტრაცია საკუთარი ჰეგემონისტური პოლიტიკის გატარების იარაღად იყენებს.

ითქვა პოლიტიკური ზიგზაგების თაობაზეც, რასაც სისტემატურად აქვს ადგილი. მარტო ის რად ღირს, ტრამპმა რომ უარი თქვა ჩრდილო კორეის ლიდერთან კიმ ჩენ ინთან სინგაპურში დაგეგმილ შეხვედრაზე, მეორე დღეს კი განაცხადა — შეხვედრა შედგება.

ორი განსხვავებული განცხადება დროის მცირე მონაკვეთში, ანუ 3-დღიანი სანკტ-პეტერბურგის სამიტის დროს. უნებლიეთ იბადება კითხვა — არის თუ არა აშშ-ის ზიგზაგური პოლიტიკა მარტო პრეზიდენტის ბრალი?

ცხადია, პრეზიდენტზე ბევრია დამოკიდებული, მაგრამ მის მიერ შერჩეული გუნდი რომ რადიკალურად გამოიყურება, ფაქტია. მათი დამსახურებაა ის გაუაზრებელი, ხშირ შემთხვევაში კონფრონტაციული პოლიტიკა, რასაც აშშ-ში აქვს ადგილი და რაც ნეგატიურად აისახება მთელ მსოფლიოზე.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲩᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲔᲚᲘᲐ!

„ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ტერორისტული თავდასხმების საფრთხე არსებობს, რაც უფრო გაიზრდება ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის გამო. თავდასხმები არ არის გამორიცხული ქალაქებში, სადაც ტურნირი ტარდება.“, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში. პოლონეთი თავის მოქალაქეებს აფრთხილებს, თავი აარიდონ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის სტუმ-

რობას. პოლონეთის საგარეო უწყება კატეგორიულად ურჩევს მოქალაქეებს, არ ჩავიდნენ ყირიმში. „პოლონეთი, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ყირიმს უკრაინის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, ყირიმის უკანონო ანექსია შეუძლებელს ხდის პოლონეთის მოქალაქეებისთვის იქ საკონსულო მომსახურების გაწევას“, — ნათქვამია საგარეო უწყების განცხადებაში.

ღვაწლმოსილი დასტაქარი, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ერისკაცი

80 წელი შეუსრულდა სასიქადულო მამულიშვილს, უმაღლესი რანგის ნეიროქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ნაპოლეონ მესხიას.



ბატონი ნაპოლეონი არის ადამიანი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება საქვეყნო სამსახურს მოახმარა. პროფესიონალიზმმა, შრომისმოყვარეობამ, საქმისადმი გულწრფელმა და პასუხისმგებლურმა დამოკიდებულებამ იმთავითვე განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მის პიროვნებას და საზოგადოებაში გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა.

ბატონი ნაპოლეონ მესხია დაიბადა 1938 წლის 28 მაისს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. 1956 წელს საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ფიზიკურად მუშაობდა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროში. 1958 წელს ჩაირიცხა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, იყო ჯერ სტალინური, შემდგომ კი ლენინური სტიპენდიატი. 1966 წლიდან ბატონმა ნაპოლეონმა გარკვეული საექიმო პრაქტიკის მიღების შემდეგ, სწავლა მოსკოვის ნ. ბურდენკოს სახელობის საკავშირო ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაგრძელა, სადაც გაიარა ჯერ ორდინატურა, მერე – ასპირანტურა, ხოლო 1970 წელს დაიცვა – კანდიდატის, 1976 წელს კი დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დახურულ სამხედრო- სამედიცინო საკითხებში.

მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1987 წელს სოხუმში აფხაზეთისა და მთლიანად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის იხსნება ნეიროქირურგიული ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იყო იმ დროისათვის ყველაზე მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებით, მათ შორის საქართველოში პირველი კომპიუტერული ტომოგრაფიით და რეანიმობილით. ნეიროქირურგიულ ცენტრში ბატონ ნაპო მესხიას ნოვატორული მიდგომითა და პრაქტიკული საქმიანობით საქართველოში პირველად ტარდება არაერთი უნიკალური ნეიროქირურგიული ოპერაცია, რამაც მას და მთლიანად კოლექტივს ნეიროქირურგიულ სამეცნიერო-სამედიცინო წრეებში დამსახურებული აღიარება მოუტანა. სოხუმის ნეიროქირურგიულ ცენტრში ოპერაციები ტარდებოდა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ბატონ ნაპოს შემუშავებული აქვს ოპერაციული ჩარევისა და მკურნალობის არაერთი ახალი მეთოდი. თავის გარშემო მან შემოიკრიბა პროფესიონალთა, საქმის ერთგულებით გამორჩეულ ადამიანთა გუნდი. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიონალურ აღზრდას. საკმარისია აღინიშნოს ის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც, ბატონი ნაპოს თაოსნობით და უშუალო ხელშეწყობით, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ქ. მოსკოვში, ნ. ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში ერთი წლით ერთდროულად მიემგზავრება თანამშრომელთა ოცკაციანი ჯგუფი, მათ შორის 7 ექიმი – ორი წლით კლინიკურ ორდინატურაში. საექიმო პრაქტიკაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა.

როგორც საზოგადო მოღვაწე, ბატონი ნაპოლეონი 1991 წელს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრად იქნა არჩეული, წლების განმავლობაში გახლდათ ამ წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის მოადგილე. 1998-2000 წლებში ეკავა აფხაზეთის საკითხებში ქვეყნის პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობა, საიდანაც პროტესტის ნიშნად გადადგა მისი უაღრესად საინტერესო, შედეგზე ორიენტირებული წინადადებებისა და რეკომენდაციების უგულებელყოფის გამო. უფრო მეტიც, განიხილავდა რა ომს აფხაზეთში, როგორც ძმათამკვლელს, მან უარი თქვა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხისა და ღირსების ორდენების მიღებაზე. მისი აზრით, ღირსებააყრილი ადამიანი ღირსების ორდენს არ უნდა ატარებდეს.

ნაპოლეონ მესხიას ჭეშმარიტი მამულიშვილობა და მაღალ ზნეობაზე დაფუძნებული პატრიოტიზმი, შეუდრეკელი ნება და პრინციპულობა, პოლიტიკური გამჭრიახობა და საზოგადოებრივი აქტიურობა კიდევ ერთხელ თვალშისაცემი პოზიტიურობით წარმოჩინდა აფხაზეთში კონფლიქტის წინა და პოსტკონფლიქტურ პერიოდში განვითარებული მოვლენების დროს. იმ მეტად რთულ, უკიდურესად დაძაბულ, ფეთქებადსაშიშ ვითარებაში, მან მთელი თავისი ენერგია და ძალისხმევა მიმართა რეგიონში საომარი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. ომამდე, ომის პერიოდში და შემდგომშიაც ბატონ ნაპოს, იმჟამინდელი ხელისუფლების (ადგილობრივის და ცენტრალურის) სათანადო მხარდაჭერის გარეშეც, უშუალოდ აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებითა და შეთანხმებით, არაერთხელ უპოვია გამოსავალი ყველაზე გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი.

იყენებდა რა აფხაზეთის საზოგადოების ორივე ნაწილში მისი პიროვნების მიმართ არსებული მაღალი ნდობის რესურსს, ის შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ორივე დაპირისპირებული მხარის რიგებში მოკალათებულ არაკონსტრუქციულ, პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილ და ფსევდოპატრიოტულად განწყობილ ვაი-პოლიტიკოსებთან, რომლებიც აფხაზეთს, ნებსით თუ უნებლიეთ, ომისკენ მიაქანებდნენ. ამის გამო ბატონი ნაპოლეონი ხშირად გამხდარა პროვოკატორებისა და წვრილფეხა პოლიტიკანების მხრიდან წინასწარ გამიზნული უსამართლო იარლიყების მიკერების ობიექტი. ჩვენ ვგმობთ და კატეგორიულდ ვემიჯნებით ნებისმიერ ამგვარ მცდელობას, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. მიუხედავად ცალკეულ პირთა უსაფუძვლო საჩივრებისა და ცილისწამებებისა, ბატონ ნაპოლეონ მესხიას პოლიტიკური იმიჯი კვლავინდებურად განუხრელ მხარდაჭერას პოვებდა და დღესაც პოვებს აფხაზეთიდან დევნილ, აგრეთვე ენგურს გაღმა მცხოვრებ მოქალაქეებში, მათ შორის აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებში. ისინი ყველაზე მეტად ენდობოდნენ და ამჟამადაც ენდობიან მის მართალ სიტყვას. ამიტომ საჭიროდ და საქმისთვის სასარგებლოდ მიგვაჩნია ბატონი ნაპოსთვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა იგი უფრო აქტიურად ჩაერთოს დიალოგში აფხაზურ მხარესთან.

ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების უზენაესი ინტერესების დაცვას მან მრავალი საგაზეთო წერილი, ინტერვიუ, ღრმა პოლიტიკური და ზნეობრივ- ფსიქოლოგიური ანალიზის შემცველი პუბლიკაცია მიუძღვნა. ამ მხრივ საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი წიგნები „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ და „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“, რომლებიც ქართულ-რუსულ ენებზე გამოიცა და რომლებმაც დიდი გამოხმაურება პოვა მდინარე ენგურის ორივე მხარეს. მიუხედავად ამა თუ იმ საკითხზე არსებული აზრთა შესაძლო სხვადასხვაობისა, მთლიანობაში ეს ნაშრომები ითვლება ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე გულით მოფიქრალი ღირსეული მამულიშვილის, ერისკაცის, მოაზროვნე და წინდახედული პოლიტიკოსის, დასტაქრის გულწრფელ, სამართლიან პასუხად როგორც აფხაზი, ისე ქართველი ეროვნების ავანტიურისტი მოღვაწეებისადმი, რომლებიც ცდილობდნენ და დღემდე ცდილობენ აფხაზეთში კონფლიქტის გამოყენებას საკუთარი პოლიტიკური და პიროვნული ვნებების დასაკმაყოფილებლად.

ბატონი ნაპო არასოდეს ყოფილა განდიდების მანიით შეპყრობილი და სკამისთვის მებრძოლი ადამიანი, როგორც ეს ზოგიერთ მომჩივანს ჰგონია. პირიქით, მან არაერთხელ გვიჩვენა სავსებით საფუძვლიანი პირადი ამბიციების ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მოთოკვის შესანიშნავი მაგალითი. ყველას გვახსოვს, როცა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი გახდა არა მხოლოდ ქართულ-აფხაზური, არამედ შიდაქართული დაპირისპირების საგანიც და ამასთან დაკავშირებით ვითარება დაიძაბა, ბატონმა ნაპომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, თუმცა, დეპუტაციაში ყველაზე მეტი მხარდამჭერი სწორედ მას ჰყავდა. როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ქვეყნის ინტერესებით ნაკარნახევი ეს, ერთი შეხედვით, კეთილშობილური ნაბიჯი მცდარი აღმოჩნდა. იმ კრიტიკულ სიტუაციაში აფხაზეთის მთავრობისთვის უნდა ეხელმძღვანელა ისეთ გაბედულ, ძლიერ და მტკიცე ნებისყოფის ავტორიტეტულ პიროვნებას, როგორიც იყო და არის ნაპო მესხია. მას სხვებზე მეტად ხელეწიფებოდა აფხაზეთში დაგროვილ პრობლემებთან გამკლავება, აფხაზურ მხარესთან საერთო ენის გამონახვა, კატასტროფის თავიდან ასაცილებლად სხვა აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ.

ცხოვრების ეკლიან გზაზე ბატონმა ნაპოლეონ მესხიამ არაერთხელ გადაიტანა მძიმე ადამიანური ტკივილი, რომელიც ორი ვაჟიშვილის დაღუპვასა და აფხაზეთის ტრაგედიას უკავშირდება, მაგრამ მშობლიური ხალხისა და ქვეყნის უანგარო სამსახურისათვის ერთი წამითაც თავი არ აურიდებია. უფრო მეტიც, მართალი სიტყვითა და პრაქტიკული საქმიანობით ის ყოველთვის იდგა სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა ავანგარდში, რისთვისაც ყველა ეროვნების მოქალაქისაგან აღიარება და გულწრფელი ადამიანური სიყვარული დაიმსახურა. ასეთი მრწამსით, ახალგაზრდული ენერგიით, სულიერი და ფიზიკური სიმხნევით ხვდება ბატონი ნაპოლეონ მესხია თავის 80 წლის სახელოვან იუბილეს.

ბრძენის ნათქვამია: ქვეყნის ღონე ნიჭიერი და მხნე კაციაო!

ნაპოლეონ მესხია ქვეყნის ღონეა, მეგობრებისა და თანამოაზრეების ღონეა, ყველა პატიოსანი აფხაზისა და ქართველის ღონეა, თავისი უსაყვარლესი შვილიშვილების ღონეა!

ბატონო ნაპოლეონ,

პოლიტიკური, პროფესიონალური საქმიანობისა და პირადი ცხოვრების სიჭარმაგის პერიოდი გიდგათ, რაც გვიმტკიცებს თქვენი საზოგადოებრივ- პოლიტიკური საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურების, აფხაზეთის საზოგადოების ინტერესების დასაცავად თქვენეული უკომპრომისო სამართლიანობით გაჯერებული ბრძოლის გაგრძელების მოლოდინს.

გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს! გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ საქმიანობაში ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ!

აფხაზეთში, ჩვენს მშობლიურ მხარეში, შეხვედრის ურყევი რწმენით

თქვენი კოლეგები:
შოთა ხეცურიანი, აკაკი გასვიანი, ჯემალ გამახარია, მურმან კვარაცხელია, თეიმურაზ მჟავია, ჯემალ საჯაია, როსტომ შამუგია, რუდიკ ცატავა, ანზორ წოწონავა, თამაზ ხუბუა, ზურაბ ჯგუბურია.

თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და ლისის ტბაზე წყლის ხარისხი ნორმის ფარგლებშია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტომ თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და ლისის ტბაზე წყლის ხარისხი გამოიკვლია.

ჩატარებული კვლევების შედეგად, მაისის თვეში, თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და ლისის ტბაზე წყალში ქიმიური და მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირდა. სპეციალისტების მიერ აღებულ წყლის სინჯებში ტემპერატურა, PH, გახსნილი ჟანგბადი, ელექტროგამტარობა და მარილიანობა განისაზღვრა; 20 ქიმიურ და 3 მიკრობიოლოგიურ პარამეტრზე კვლევები გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში განხორციელდა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები საბანაო სეზონზე (მაისიდან სექტემბრის ჩათვლით) თბილისის ზღვაზე, კუს ტბასა და ლისის ტბაზე წყლის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებენ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ზედაპირული წყლების მონიტორინგი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება.

◎ გიჟი ყველგან გიჟია!

მიშას 5-ეულების ბაირამობის მოლოდინში

მაწანწალად ქცეულმა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა და მარადიულმა სირცხვილმა თბილისის ცენტრში „რკინის ორფეხა რაშის“ ძეგლის დადგმითა და შუაგულ ევროპაში მორიგი ველოგასეირნებისას ხელის მოტეხვით ზოგ-ზოგიერთთა თვალში სპორტის ქომაგისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამამკვიდრებლის იმიჯი შეიქმნა. ალბათ, ბედის ირონიაა ისიც, რომ სწორედ ამ უხსენებლის სახელს უკავშირდება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი სადარბაზო ბარათის — ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციაც, მოგვიანებით, ცივილიზებული დასავლეთის ანალოგიურ სარბიელთა მიმბაძველობით „დინამო არენად“ რომ გადანათლეს.

რას ვიზამთ, პოლიტიკანთა ზეობისას კურიოზები აქამდეც ბევრი მომხდარა და, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, მომავალშიც მრავალჯერ მოხდება, ამჯერად კი მკითხველის ყურადღებას კვირა საღამოს „რუსთავი-2“-ის ეთერში ამსტერდამიდან „ბრადიაგის“ სიფათით ჩართული ნაცების ფიურერის კიდევ ერთ ნოვატორულ ბოდვაზე მივაპყრობთ, გარკვეული დოზით მის უდიდებულესობა სპორტთან რომ შეგვიძლია გავაიგივოთ.

მოგეხსენებათ, კალათბურთში პრესტიჟულად ითვლება სასტარტო ხუთეულის წევრობა, რომელსაც პარტნიორთათვის საბრძოლო იშტაზე მოყვანისა და პარკეტზე ცეცხლის დანთების ფუნქცია ეკისრება. არანაკლებ ძვირად ფასობს კვინტეტების სრულფასოვანი დაკომპლექტება ჰოკეიში — საილუსტრაციოდ „ნიკალაევიჩისთვის“ ასე მშობლიურ საბჭოთა ნაკრებში ძლევამოსილად მოთამაშე მიხაილოვისა თუ ლარიონოვის ლეგენდარული ხუთეულების დასახელებაც კმარა, მაგრამ ის, რაც ჰოლანდიელთა ვარდ-ყვავილოვანმა სიძემ ტიტების ქვეყნიდან თავის ნაპროკურორალთან დიალოგისას დააბრეხვა, სასაცილოდ გამოიყურება, სატირალი რომ არ იყოს.

დიახ, თურმე ამერ-იმერში სამართლიანობის აღსადგენად, ანუ მონასტრის ასარევად და დაპირისპირების კიდევ ერთი კერის ასაბრიალებლად, არც მეტი, არც ნაკლები, მობილური, იგივე დამრტყმელი ხუთეულების შექმნა ყოფილა საჭირო, სადაც მკაცრად იქნება გადანაწილებული ფუნქციები და აღნიშნული მინი-დანაყოფის თითოეული რიგითი ჯარისკაცი ძირგამომთხრელი საქმიანობის კონკრეტულ უბანზე გახდება პასუხისმგებელი.

დაგვეთანხმებით, სიბეცესა და უმწიფრობას მართლაც არა აქვს საზღვარი, მით უმეტეს მაშინ, როცა მას ისეთი ფართო დიაპაზონის მოაზროვნისა და ორატორის დაღი აზის, როგორიც ჩვენი ბედკრული სახელმწიფოს საკრალური ნაპირველკაცარი ბრძანდება.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა — საყოველთაოდ აღიარებული მისი პიროვნული სიმამაცის გათვალისწინებით, დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი უარს იტყვის უცხოურ სიამეებზე, ვაჟკაცურად გადმოლახავს რომელიმე სასაზღვრო-გამტარ პუნქტს და უშუალოდ ჩაუდგება სათავეში წინააღმდეგობის მოძრაობას. აბა, უიმისოდ როგორი წარმოსადგენია ნაციონალურ კოშმართან ასოცირებული 5-ეულების უთანასწორო ბრძოლა „ქართული ოცნების“ ტირანიის ქვეშ მგმინავ თანამემამულეთა დასახსნელად?

მეტი არაა ჩემი მტერი!

გია პლატონიშვილი

◎ კალათბურთი

აქაც და იქაც

საკალათბურთო სეზონის ფინიშზე მოვლენები დრამატულად ვითარდება როგორც საქართველოში, ისე ოკეანის გაღმა. გულშემატკივარსაც მეტი რა უნდა. ამჯერად კედელთან მიყენებულ „ქუთაისსა“ და „გოლდენ სტეიტს“ უნდა ვუძღვნათ დამსახურებული ქების სტრიქონები, რომლებიც უმძიმეს სიტუაციაში ამოვიდნენ წყლიდან მშრალად და ჩემპიონის წოდების შენარჩუნების შანსი დაიტოვეს.

სუპერლიგა. ფინალი

„დინამო“ — „ქუთაისი“ 55:63
სერიის ანგარიში 2:2

წინა დღეს გამართული მესამე ბრძოლის ბედი დასკვნით პერიოდში გადაწყდა, რომელიც მასპინძლებმა 25:5(!) მოიგეს და ბოლო მეოთხედის წინ მეტოქის მიერ სიმწრით მოპოვებული 11-ქულიანი უპირატესობა გააბათილეს — 55:66 და 80:71.

აღსანიშნავია, რომ ირაკლი ხოშტარიას გუნდის სნაიპერის მიხეილ ბერიშვილის ჩავარდნის ფონზე (მან შეხვედრა უქულოდ დაასრულა) „თეთრ-ლურბა (11 ქულა) კი ნაგვიანევი აღმოჩნდა.

მოკლედ, დღეს 19 საათზე ქუთაისში „ოქროს მატჩი“ გაიმართება, რომელიც, ვიმედოვნებთ, უექსცესოდ ჩაივლის.

ნბა. დასავლეთ კონფერენცია. ფინალი

„ჰიუსტონი“ — „გოლდენ სტეიტი“ 92:101
სერიის საბოლოო ანგარიში 3:4

მაშ ასე, ზედიზედ მესამედ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონობას „გოლდენ სტეიტი“ და „კლივლენდ კავალიერზი“ გაითამაშებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაზა ფაჩულიას „ოქროს ბეჭდის“ მეორედ მოპოვების რეალური შანსი გააჩნია. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს საამაყო თანამემამულეს, რომელსაც ამჯერად ბრძოლაში ჩაბმა არ მოუწია.



ჯთა“ ლეგიონერებმა გაილაღეს, რომელთა მონაგარმაც 80-დან 67 ქულა შეადგინა.

სტუმრები მეოთხე მატჩის დასკვნით მონაკვეთს უფრო მეტი — 13-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდნენ (ერთ ეპიზოდში 21 ქულითაც კი დაწინაურდნენ — 50:29), მაგრამ ამჯერად უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე რევანშამდე, რაც ბექაურის, ბარბაქაძის, დვალიშვილის, წივწივაძისა და რაიტის ძალისხმევით მოახერხეს. და ეს მაშინ, როცა წინა ჯახის გმირებს — ტურპინს, ბოიდსა და ლის „ფიზიკა“ აღარ ეყოთ, ბერიშვილის გამოფხიზლებისა (32 ქულა) მასპინძლებმა დიდ შესვენებამდე საკუთარ გულშემატკივრებს სასწაულის იმედი გაუღვივეს, მაგრამ, ტრადიციისამებრ, ოკლენდელებმა მეტოქეს გადამწყვეტი ჩხვლეტა მესამე პერიოდში მიაყენეს, რომელიც 33:15(!) მოიგეს. ასევე ჩვეულებისამებრ, მათი გამარჯვება დურანტმა (34 ქულა) და კარიმ (27 ქულა) გამოჭედეს, ტომპსონმა კი მხოლოდ 11 ქულა იკმარა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხელბურთი

„მარსელიოზა“ გერმანიაში

ხელბურთის ჩემპიონთა ლიგა ფრანგულმა კლუბმა „მონპელიემ“ მოიგო, ვინც ნახევარფინალში 29:28 დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი მაკედონიის „ვარდარი“, ხოლო ფინალში 32:27 მოუგო თანამემამულეთა „ნანტს“.

კიოლნში გამართულ ნახევარფინალში სამი ფრანგული კლუბი თამაშობდა. „ნანტმა“ მოულოდნელად დაამარცხა „პარი სენ ჟერმენი“ 32:28, ხოლო „მონპელიემ“ „ვარდარს“ არგენტინელი დიეგო სიმონეტის ბოლო წამებზე გატანილი ბურთით აჯობა, სიმონეტი მეორე დღეს ფინალური ოთხეულის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ფინალში „ნანტმა“ სირენამდე 9 წუთით ადრე აათანაბრა ანგარიში (24:24), მაგრამ შემდეგ ზედიზედ მიიღო 5 გოლი (24:29) და გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვა. „მონპელიემ“ ჩემპიონთა თასი მეორედ მოიგო 2003 წლის შემდეგ და ახლა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის. კლუბი ბოლოსწინა, 25-ე ტურში დამარცხდა „რაფაელთან“ და მას „პარი სენ ჟერმენი“ დაეწია. ორივე გუნდს 43-43 ქულა აქვს და პარიზელებს სულ ერთით უკეთესი ბურთების სხვაობა აქვთ. ბოლო ტური ხვალაა დანიშნული. შეგახსენებთ, რომ „მონპელიეში“ 2017 წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა 17 წლის გიორგი ცხოვრებაძე. ახალგაზრდა ქართველმა პირველი სეზონი კლუბის მეორე გუნდში ჩაატარა.

დანარჩენი ორი ევროტურნირიდან EHF თასი ბერლინის „ფუხსემ“ მოიგო, ხოლო ჩელენჯ კაპი რუმინულმა „პოტაისა ტურდამ“ დაისაკუთრა.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

როცა ვნება ჩახხრა

იტალიელი მოდელი და მსახიობი მარგარეტ მეიდი ამჟამად გათხოვილი ქალია და მიუხედავად მისი დიდი და მზარდი პოპულარობისა, მშვიდი, ბრუტალური ცხოვრებით ცხოვრობს. არადა იყო დრო, როდესაც ბულვარული მედიის საყვარელი საკბილო იყო და თავადაც ნამეტნავად მოსწონდა ქარიშხლიანი ცხოვრება.

მარგარეტის წარსულის ერთი მცირე, მაგრამ ფერადი მონაკვეთი ყოფილ ფეხბურთელთან და დღეს უკვე საკმაოდ ნიჭიერ მწვრთნელთან სიმონე ინძაგისთან ტრფიალს უკავშირდება. მათი რომანი მაშინ ბომბივით გასკდა და ყველა ამაზე საუბრობდა.

ამ ცოტა ხნის წინათ მარგარეტ მეიდისთან ინტერვიუზე მისულმა სხვათა ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის მოყვარულმა ჟურნალისტმა მოდელს სიმონესთან გატარებული დრო გაახსენა, რაზეც მარგარეტმა დაირცხვინა, უცოდველი ქალწულივით ააფახულა წამწამები და განაცხადა, რომ ის უკან, წარსულისკენ არასოდეს იცქირება. მოკლედ, არ უნდა საუბარი და რა ვქნათ...

როსტომ რაჭველიშვილი

მეგობრის ხსოვნას

დელმაგ წურწუმია - 80
შენი დავიწყება არ იქნება!

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ფენომენალური მონაცემებით ბუნების იშვიათ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნებიან. სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგაც სულიერად ყოველთვის ჩვენთან არიან. დიახ, ასეთ უნიკალურ პიროვნებას წარმოადგენდა სახელოვანი, ქართული გეოლოგიური სკოლის კოჰორტის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, დიდი ინტელიგენტი და პრაგმატიკოსი **დელმაგ ვალერიანის-ძე წურწუმია**. იგი დაიბადა საუკუნეთა სიბრძნით დატვირთულ, ლეგენდარულ ქალაქ ფოთში 1938 წლის 27 მაისს მოსამსახურის ოჯახში. ქალაქის მეორე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, ის წავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე. ამ უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მას შეეძლო, სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობა აირჩია და მუშაობას იწყებს ტრესტ „საქნავთობში“, აქაურ ხელმძღვანელობას მისი უნიკალური ნიჭიერება და გონიერება მხედველობის გარეშე არ დარჩენია და იგი სულ მალე დაწინაურებულ იქნა გეოლოგიური პარტიის უფროსის თანამდებობაზე. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში ცხადყოფს, რომ ის ისეთი მაღალკვალიფიციური გეოლოგი იყო, ვისაც ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდამ ნატრულობს ქართველი, ვისაც შეეძლო დედამიწის გულის გადახსნა და მოპოვებული აუარებელი სიმდიდრის ხალხის სამსახურში ჩაყენება. საგულისხმოა, რომ მისი სიბრძნე ყველაფერს სწვდებოდა, მისთვის პრობლემა არ არსებობდა. იგი ჭეშმარიტებას სიკეთის გზით დაეძებდა და ამიტომაც აღწევდა მიზანს ყოველთვის. მასში ყველაფერი ბუნებრივი, მომხიბლავი და ჯადოსნური იყო. ის, მართლაც ყოვლისმცოდნე, თავისი მონაცემებით სამყაროს განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენდა. მტკიცე ნებისყოფის საიმედო ახალგაზრდა, დიდი და სახელოვანი ოჯახის შვილი, ყოველთვის სანიმუშო და მისაბაძი იყო. იგი განუმეორებელ ელფერს სძენდა თავის თაობას და არჩეულ სპეციალობას. მას როგორც პროფესიით და სულით გეოლოგს, უყვარდა ბუნება, ყველგან და ყოველვის ამჟღავნებდა განსაკუთრებულ სიყვარულს ამ დარგისადმი. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულს, ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო და როგორც გეოლოგმა, კარგად იცის თავისი ქვეყნის ფასი... მხოლოდ პატიოსნება და ეფექტიანი შრომისმოყვარეობა, მშობლიური მიწის სიყვარული იყო მისი ცხოვრების მეგზური. საგულისხმოა, რომ მას მეცნიერების ნებისმიერ სფეროში რომ ელვაწა, იქნებოდა ფრიად წარმატებული, თავისი ნიჭის, მრავალმხრივი ცოდნისა და შეუპოვარი შრომისმოყვარეობის წყალობით.

დიდი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეებისთვის დაბადებულს ბედმა უმტყუნა, იგი ნაადრევად 38 წლის წავიდა ამ ქვეყნიდან. მან შეძლო სიცოცხლის დაუოკებელი ძალა ხალხის სამსახურში ბოლომდე ჩაეყენებინა... დელმაგ წურწუმია ქვეყნის ისტორიაში სამუდამოდ აღიბეჭდა და დარჩა, როგორც ეროვნული სულის მატარებელი, სპეტაკი პატრიოტი ქართველი. იგი ამავე დროს იყო დიდი პროფესიონალი, მოდერნისტი, ნოვატორი, მუდმივად სიახლის მაძიებელი, რომელსაც სამწუხაროდ, მრავალი განუხორციელებელი ოცნება დარჩა...

დელმაგ წურწუმიას, როგორც დიდბუნებოვან კაცს, წინასწარმეტყველება და წინათგრძნობა არასდროს არ აკლდა, მაგრამ ის, რაც მისი ტრაგიკულად დაღუპვის დღეს მოხდა, დასტურ უცნაური და სასწაულია. ფოთში, რიონის სანაპიროზე იმ დიდ სახლში შეიარა, სადაც გაიზარდა, დავაჟკაცდა და იქორწინა, ეზოში მის დარგულ ხეებსა და ბუჩქებს მოეფერა, კარებს სახელურები დაუკოცნა, სახლის მეპატრონეს კი მასხრობით უთხრა, ეს სახელურები არასოდეს შეღებო, იმიტომ რომ მე მაქვს მათზე ხელი მოკიდებულიო, მერე როიალს მიუჯდა, დაუკრა, იმღერა კიდეც, თურმე ეს გედის სიმღერა იყო...

...და ბოლოს, გულწრფელად, თამამად და ხმამაღლა შეიძლება ითქვას, რომ დელმაგ წურწუმია იყო ჭეშმარიტად მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული, საამაყო და განუმეორებელი, უაღრესად ნიჭიერი და გონიერი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პროფესიონალი, რომელიც ჩაუქრობელი კელაპტარივით დარჩება ჩვენი თაობისა და საზოგადოების მეხსიერებაში. იგი არა მარტო ქალაქს, არამედ სრულიად საქართველოს დააკლდა.

სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

გულთაზ ლაბარტყავა,
ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე.

სანთელი

მეუღლე მერი, შვილები ლია, ლევანი, რძლები ნატო, გვანცა, სიძეები ირაკლი, ალექსანდრე, შვილიშვილები ვახტანგი, დეა, დათა, ნიკო, შვილთაშვილები იოანე, ნინა, ცოლისდა ნანა დანელიშვილი ოჯახით იუწყებიან

ბიჭიკო (დავით) გიორგის ძე ოტიაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 29, 30 V, 17 სთ. ვაჟა-ფშაველას 19. გამოსვენება 31 V, 15 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან (სამედიცინო უნივერსიტეტთან).

ზუგდიდში ცოლ-ქმარი ბავშვის გატაცების ბრალდებით დააკავეს

მეზობლები ყვებიან, რომ ბავშვის ოჯახს დაკავებული ცოლ-ქმრის ვალი აქვს და სწორედ ამ საქმის გასარკვევად მივიდა ცოლ-ქმარი ოჯახში. მათ ადგილზე ბაბუა და შვილიშვილი დახვდნენ, მეზობლების თქმით, სწორედ ბაბუის ნებართვით წაიყვანა ცოლ-ქმარმა მცირეწლოვანი და მალევე უკან დააბრუნა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ოჯახმა, რომელსაც ვალის დაბრუნება არ სურს, ამ შემთხვევით ისარგებლა და საჩივრით პროკურატურას მიმართა. შსს-ში ორი პირის დაკავების ფაქტს ადასტურებენ. გამოძიება მძევლად ხელში ჩაგდების მუხლით დაიწყო.

მარტვილში ოჯახი დააყაჩაღეს

მარტვილში, სოფელ სალხინოში ოჯახი დააყაჩაღეს. სამი პირი, რომლებსაც სახეზე ნიღბები ეკეთათ, სახლში შეიჭრნენ და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფულს და ძვირფასეულობას ითხოვდნენ. თავდამსხმელებმა 96 წლის ქალი სცემეს. სახლიდან კი ფული, ოქროულობა და მობილური ტელეფონი წაიღეს, რომელიც მოგვიანებით სამართალდამცველებმა იპოვეს.

გამოძიება ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს.

სურამში მამაკაცი მოკლეს

არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა მეორე მამაკაცი სავარაუდოდ, სანადირო თოფით მოკლა. წინასწარი ინფორმაციით, მკვლელობა სანიაღვრე სისტემასთან დაკავშირებით, წარსულში არსებულ კონფლიქტს უკავშირდება.

უწყების ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავის ვინაობა სამართალდამცველებმა ოპერატიულად დაადგინეს.

იძულებით აღებული დნმ-ს ნიმუში

მე-12 არხი ვიდეომასალას ავრცელებს, რომელიც ხელვაჩაურის პოლიციის თანამშრომლების მიერ პატიმარზე ზეწოლას ასახავს.

ჩანაწერის მიხედვით მოქმედება ქუთაისის ნომერ მეორე დაწესებულებაში ხდება, სადაც ხელვაჩაურის პოლიციის თანამშრომლები პატიმარს დნმ-ს ნიმუშის ჩაბარებას, ძალის გამოყენებით აიძულებენ.

კადრში 6 სამართალდამცველი ჩანს, მეშვიდე კი პროცესს კამერით იღებს. პატიმარი ყვირის და დახმარებას ითხოვს. გავრცელებულ ვიდეომასალასთან დაკავშირებით განმარტება უკვე გაკეთდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. უწყებაში ამბობენ, რომ დაკავებულის მიმართ გამოყენებული იყო მოსამართლის მიერ ნებართული ის ზომა, რომელიც საჭირო იყო პატიმრის წინააღმდეგობის დასაძლევად და დნმ-ს ასაღებად.

„ადვოკატი თავად ესწრებოდა ამ საგამოძიებო მოქმედებას. ის ორი კვირის განმავლობაში ფლობდა ამ ვიდეომასალას და წინასასამართლო სხდომამდე ერთი დღით ადრე გამოაქვეყნა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვები, რა მოტივაცია შეიძლება ამოძრავებდეს ადვოკატს. ეს არის არაეთიკური საქციელი, არ შეიძლება პოლიციელების და სამართლდამცავი ორგანოების დისკრედიტაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ადამიანები კანონის სრული დაცვით მოქმედებენ. მესმის, რომ ვიდეოში არის ბრალდებულის განწირული ხმით კივილი და წივილი. რამდენსაც არ უნდა ყვიროდეს ბრალდებული, ფაქტი ამ ვიდეოში არის ერთი — ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია, პოლიცია მოქმედებდა და იყენებდა იძულების პროპორციულ ზომას იმ ბრალდებულის მიმართ, ვინც ნიმუშის აღებაზე უარი თქვა. ნიმუშის აღება აუცილებელი იყო, რათა დაგვედგინა, ჰქონდა თუ არა მას ყაჩაღობასთან რაიმე ფორმით შეხება. ეს იყო აუცილებელი მტკიცებულება ამ სისხლის სამართლის საქმისთვის. ეს მოხდა სასამართლოს განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. საუბარი იმაზე, რომ პოლიციამ უფლებამოსილებას გადაამეტა, ზედმეტია“, — განუცხადა ჟურნალისტებს შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა.

„იმერულ ეზოში“ მოწამლული 9 ადამიანი ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს

ცხრა ადამიანი, მათ შორის ერთი არასრულწლოვანი, მწვავე მოწამვლის ნიშნებით იქნა გადაყვანილი თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში.

ყველა მათგანი მოწამლული იყო რესტორან „იმერულ ეზოში“, რომელიც ნატახტარში მდებარეობს. პაციენტებს აღენიშნებათ ერთნაირი სიმპტომები და ისინი ამ დრომდე რჩებიან ექიმების ზედამხედველობის ქვეშ.

„იმერული ეზოს“ თანამშრომლები მოწამვლის ფაქტს უარყოფენ. „არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, რაც იმას დაადასტურებს რომ „იმერულ ეზოში“ მიღებული საკვების შედეგად მოხდა მოწამვლა“ — აცხადებს „იმერული ეზოს“ ფინანსისტი ირაკლი ხევცურიანი.

„სურსათის სააგენტოს წარმომადგენლები ჯერ არ მოსულან ჩვენს ობიექტზე. სავარაუდოდ, ეს ჭორია. თუკი მათ ექნებათ სურვილი, ჩვენ მზად ვართ, დავეხმაროთ“ — დასძინა მან.

სურსათის უვნებლობის სამსახური, თავის მხრივ აცხადებს, რომ ისინი რესტორანში დაუგეგმავი შემოწმების ჩატარებას განახორციელებენ და იხელმძღვანელებენ კანონით დადგენილი წესით.

კუბას „ალბერტო“ უტევს

კუბაზე სუბტროპიკული შტორმის „ალბერტოს“ გამო 13 ათასამდე ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა. ამის შესახებ გამოცემა Prensa Latina იუწყება.

მათივე ინფორმაციით, ყველაზე დიდი ზიანი შტორმით გამოწვეულმა ძლიერმა წვიმებმა ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ პროვინციებს მიაყენა.

„კუბას რკინიგზამ“ მთელი ქვეყნის მასშტაბით რეისების განხორციელება შეაჩერა.

პირველი ალკოჰოლური „კოკა-კოლა“

უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელმა კომპანია „კოკა-კოლამ“, პირველად 125 წლის არსებობის ისტორიაში ალკოჰოლური სასმელი გამოუშვა. ის იაპონიის მაღაზიებში გუშინ გამოჩნდა, — წერს „BBC“.

სასმელი გამოდის მხოლოდ ლიმონისა და გრეიფრუტის არომატით და მისი სიძლიერე 3-დან 7 პროცენტამდე მერყეობს.

კომპანიის ტრადიციის თანახმად, სასმელების რეცეპტი მკაცრად გასაიდუმლოებულია. ის ასევე იყიდება მინის ქილებში, სადაც ალკოჰოლის შემცველობა 3-დან 8 პროცენტამდეა.

იაპონიაში, „კოკა-კოლას“ ალკოჰოლური სასმელი სახელწოდებით „Chu-Hi“ მიიჩნევა ლუდის ალტერნატივად და ის განსაკუთერებული პოპულარობით ქალებში სარგებლობს. მისთვის იყენებენ ყველაზე გავრცელებულ ციტრუსოვან არომატიზატორებს, როგორიცაა გრეიფრუტი და ლიმონი.

„კოკა-კოლა“ აცხადებს, რომ იაპონიის გარდა სხვა ქვეყანაში მსგავსი პროდუქტის წარმოების სურვილი არ გააჩნია.

მამა-შვილი სკრიპალები გადარჩნენ

დიდი ბრიტანეთის ექიმები სერგეი და იულია სკრიპალების ჯანმრთელობის შესახებ პირველ კომენტარს აკეთებენ.

ყოფილი აგენტი სერგეი სკრიპალი და მისი ქალიშვილი იულია გადარჩნენ სამი ფაქტორის დამსახურებით — მათი ექსტრემალურად მოკლე დროში ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანით, მედიკამენტოზური საძილე საშუალების შეყვანით და პორტონ-დაუნის ქიმიური ლაბორატორიის სპეციალისტების დახმარებით. ამის შესახებ სოლსბერის საავადმყოფოს ექიმებმა განაცხადეს, რომლებიც სკრიპალებს მკურნალობის კურსს უტარებდნენ.

„როცა ჩვენ პირველად გავიგეთ, რომ ეს იყო ნევრო-პარალიზური ნივთიერება, ვიფიქრეთ, რომ მათი გადარჩენა შუძლებელი იქნებოდა. თუმცა აღმოვუჩინეთ საუკეთესო სამედიცინო დახმარება, მაგრამ პერიოდულად იყო საშიშროება, რომ მათ ვერ ეცოცხლათ“.

ტყუილის თქმის მოუშორებელი სენი

ტყუილის ხშირად მთქმელი ადამიანები ბოლოს იქამდე მიდიან, რომ ჭეშმარიტებისგან მისი გარჩევის უნარს კარგავენ.

ბრიტანელ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ხშირი სიცრუე ორგანიზმში „სიმართლის ცენტრის“ აქტივობას აქვეითებს. სწორედ ამის გამო ხდება, რომ ადამიანი ტყუილის თქმას მაშინაც იწყებს, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს.

საგულისხმო ასევე ისიცაა, რომ ასეთი ხალხისთვის ტყუილის თქმის გადაჩვევას 3-5 წელი სჭირდება.

რაც მემკვიდრეობით გვერგება...

მშობლებს ხშირად მოსდით ხოლმე კამათი იმის თაობაზე, თუ ვის ჰგავს ბავშვი უფრო. მაინც, სახის რომელი ნაკვთები გადაიცემა მემკვიდრეობით?

ლონდონის სამეფო კოლეჯის ფიზიონომისტთა განცხადებით, რომლებმაც 3D-კამერებით გადაღებული ათასი ტყუპის ფოტოსურათის გამოკვლევის შედეგად გააკეთეს, ეს ნაკვეთებია ცხვირის წვერის ფორმა, თვალების შიდა კუთხეები, ტუჩების ზედა და ქვედა უბნები, ასევე ყვრიმალები.

თუ წყლის ხელმეორედ ადუღება გინდათ

ბევრს, ალბათ, სმენია იმის შესახებ, რომ სასმელად, ვთქვათ, ჩაისთვის, წყლის ხელმეორედ ადუღება მავნეა.

საქმეა ისაა, რომ მეორე ადუღების შემდეგ იზრდება ეგრეთ წოდებული მძიმე წყლის წილი, რომელიც დეიტერიუმს (ანუ წყალბადის მძიმე იზოტოპს) შეიცავს, თუმცა კი ასეთი ცვლილება საკმაოდ უმნიშვნელოა. თანაც ხელმეორედ ადუღების შემდეგ წყალში კალციუმის მარილების ოდენობა იკლებს, ვინაიდან ისინი ცუდი ხსნადობით ხასიათდებიან და ილექებიან. ამის შედეგად წყალი რბილდება, მასში ჩაიც უკეთ იხარშება და გემოც უმჯობესდება. ეს განსაკუთრებით იმ მხარეებში აღინიშნება, სადაც ხისტი წყალია, რომელიც ტუტე რეაქციით ხასიათდება.

ამასთან, გახსოვდეთ, რომ ხელმეორე ადუღების გზით წყლის გემოს გასაუმჯობესებლად აუცილებელია მანამდე მისი გაცივება.

სიღარიბის... სნეულება

ღარიბ ოჯახებში მოზარდები უარესად ვითარდებიან, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც შეძლებულ ოჯახებში ცხოვრობენ, აცხადებენ ავსტრიელი ექიმები მრავალწლიანი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ. თანაც ამ მაჩვენებლების შემოწმება ტესტებითაც შეიძლება.

მაგრამ, მკვლევარები ხაზგასმით იმასაც აღნიშნავენ, რომ ცუდი განვითარების შედეგად წარმოშობილი დეფექტების კომპენსირება სავსებით შესაძლებელია, თუკი მოზარდებს მშობლებთან კარგი ურთიერთობა აქვთ, მათ მხარს უჭერენ და უყვართ, ხოლო თუკი ბიჭებს დედასთან ცუდი ურთიერთობა აქვთ, ცუდად სწავლობენ და სკოლაში ნებისმიერ კონკურენციას თავს არიდებენ, ამას ტესტირებაც აჩვენებს.

აღნიშნული გამოკვლევის ფასეულობა იმითაა განპირობებული, რომ ზუსტი მექანიზმების მეშვეობით ირკვევა, რომ სიღარიბე — ესაა სნეულება, რომელიც თავის ტვინზე მოქმედებს.

მსუბუქი სუნთქვა

დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ფინეთის მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ვაშლის მოყვარულები ბრონქიალური ასთმით სხვებზე იშვიათად ავადდებიან. თანაც, რისკის შემცირება იმ ხალხშიც აღინიშნება, ვინც კვირაში მხოლოდ ორ ვაშლს მიირთმევს.

ამის გარდა სხვა ქვეყნებში ის დასკვნაც გამოიტანეს, რომ ზოგადად ვაშლი აუმჯობესებს ფილტვების ფუნქციას და ხელს უშლის ობსტრუქციული ბრონქიტის წარმოშობას. ეს ძალიან სერიოზული დაავადებაა, რომელიც ასთმასავით სუნთქვით უკმარისობას იწვევს. მიჩნეულია, რომ ფილტვებს ანტიოქსიდანტები იცავენ, რომლებიც მრავლადაა ვაშლში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4663; ევრო - 2.8727;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2868;
100 რუბლი - 3.9550; თურქული ლირა - 0.5403;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4552;
1000 სომხური დრამი - 5.1026.

ამინდი 30 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +19
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +16, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +30
თბილისი: ღამე +15, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge